წლიური ანგარიში 2011

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

Empowered lives.
Resilient nations.

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის
თვალსაზრისს.

თბილისი
2012

მინისტრის მიმართვა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული სისხლის სამართლის სფეროს რეფორმაში, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება. ბოლო წლებში ჩვენმა სამინისტრომ იურიდიული დახმარების სამსახურში არაერთი სიახლე დანერგა, რათა თითოეული მოქალაქისათვის და თანამემამულისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მაღალხარისხიანი იურიდიული დახმარება. ამ მხრივ არც 2011 წელი იყო გამონაკლისი.

მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით. მუდმივად ვმუშაობთ იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და, ზოგადად, სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წელს იურიდიული კონსულტაციის მიღება უკვე ონლაინ რეჟიმშიც გახდა შესაძლებელი, რაც უადვილებს კვალიფიციურ იურისტთან დაკავშირებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას, ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებს და ზოგადად ყველას, ვინც ვერ ახერხებს სერვისის მისაღებად იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებს მიმართოს.

სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული განვითარების პროცესში. ჩვენ ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს საქმიანობას, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგის გზით წარვმართოთ.

იმედს გამოვთქვამ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია, ასევე ამ სფეროს რეფორმაში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სოციალურ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული სამართლებრივი დახმარების სისტემის განვითარებას.

პატივისცემით,

ხათუნა კალმახელიძე
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

დირექტორის მიმართვა

წლიური ანგარიშის გამოქვეყნება იქცა იურიდიული დახმარების სამსახურის ტრადიციად, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, შეაფასოს და გააანალიზოს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა. როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობა სისხლის სამართლის სისტემის მასშტაბურ რეფორმას 2005 წლიდან ახორციელებს. ყოველი ასეთი პუბლიკაცია კი ნათლად ასახავს იმ წარმატებას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო, ამ რეფორმის ფარგლებში, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში აღწევს.

საქმიანობის შეჯამებისას რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას გამოვყოფ:

2011 წელს ეთნიკური უმცირესობებისათვის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აქტიური მუშაობა გაგრძელდა. ახალციხისა და ახალქალაქის ოფისების შემდეგ, წალკის მრავალეთნიკურ რეგიონში ახალი საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის საადვოკატო მანდატი გავრცელდა ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებსაც, შესაძლოა, მოჰყვეს დაპატიმრება.

ბოლო ოთხი წლის მონაცემების მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 30%-ით იზრდება. ეს ტენდეცია 2011 წელსაც შენარჩუნდა. უკანასკნელი სამომხმარებლო კვლევის მიხედვით კი დადგინდა, რომ კლიენტთა 25% მიღებული იურიდიული დახმარებით – ნაწილობრივ კმაყოფილი, 50% კი სრულად კმაყოფილია. ამასთან, თუ 2007 წელს ჩვენი სამსახურის არსებობის შესახებ მოსახლეობის მხოლოდ 15%-სთვის იყო ცნობილი, 2011 წელს აღნიშნულმა მაჩვენებლმა 55%-ს გადააჭარბა. ცალკე აღნიშვნის ღირსია გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა. ასეთი შედეგით წელს საზოგადოებრივმა ადვოკატებმა 17 სისხლის სამართლის საქმე დაასრულეს, რაც მთლიანად სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების 1/3-ია.

სამართლებრივ კონსულტაციებზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად იურიდიული დახმარების სამსახურმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო იმ კონსულტანტების გადამზადებას, რომლებსაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებსა და მათ პრობლემებთან ყოველდღიური შეხება აქვთ. 2011 წელს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე

კონსულტანტებისთვის ინტენსიური ტრენინგები ჩატარდა. ასევე, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ადვოკატთა პროფესიული უნარ-ჩვევები კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების დაცვის თვალსაზრისით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატთა სპეციალიზაციის ფარგლებში განხორციელდა.

2011 წელი საინტერესო იყო სხვადასხვა ქვეყნების იურიდიული დახმარების სამსახურებთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც. საქართველოს იორდანიისა და ყაზახეთის იურიდიული დახმარების სამსახურების დელეგაციები ესტუმრნენ. ჩვენი სამსახურის ადვოკატები კი ევროკავშირში მოქმედ სამართლებრივი დახმარების სისტემას ლიტვის მაგალითზე გაეცნენ.

იურიდიული დახმარების სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გაეროს ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის მიერ ინიცირებული საერთაშორისო დოკუმენტის „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებების“ პროექტის შემუშავების პროცესში.

ჩვენ კვლავაც ნაყოფიერად განვაგრძეთ თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან, ევროკავშირთან, ღია საზოგადოება – სამართლის ინიციატივასა და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს იურიდიული დახმარების სამსახურის წინსვლაში.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოს სამართლებრივი დახმარების სისტემის განვითარება მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება.

პატივისცემით,

ირაკლი კობიძე
სამსახურის დირექტორი

1.

იურიდიული დახმარების სისტემა

იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა 9

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 9

ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები 9

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი 13

სამსახურის მანდატი 13

2.

წარმატებული საქმეები

ხვიჩა თავაძის დახმარებით – თვითნებობის ჩადენაში ბრალდებული გამართლდა 15

პავლე კაკაბაძის დახმარებით – ქურდობის მცდელობაში ბრალდებული გამართლდა 15

ელისო რუხაძის დახმარებით – სხვისი ქონების განადგურებაში ბრალდებული გამართლდა 16

იმედა ქარქაშაძის დახმარებით – ძებნილი გამართლდა 16

ოთარ რუხაძის დახმარებით – სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული რამდენიმე პირი გამართლდა 17

გვანცა შელიას და მარინე მიქავას დახმარებით – ორი მოქალაქე ადმინისტრაციული პატიმრობიდან განთავისუფლდა 18

მარიკა გერსამიას დახმარებით – ძებნილი გამართლდა 19

ნუგზარ თამარაშვილის დახმარებით – სხვისი ნივთის განადგურებაში ბრალდებული გამართლდა 19

ნინო მიქატაძის დახმარებით – პრობაციონერი თავისუფლების აღკვეთას გადაურჩა 20

ცირა გამცემლიძის დახმარებით – ორი ბრალდებული სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა 21

იამზე მემარნიშვილის დახმარებით – სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს სასამართლოში დავა მოუგო 21

მამუკა ზოიძის დახმარებით – ქურდობაში ბრალდებული გამართლდა 22

დავით ბოჭორიშვილის დახმარებით – ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებში ბრალდებული გამართლდა 23

საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით – თაღლითობაში ბრალდებული რამდენიმე პირი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა 24

მაია დარასელიას ძალისხმევით – ინდმეწარმე 5000 ლარიანი ჯარიმის გადახდას გადაურჩა 26

დიმიტრი სამსახარაძის დახმარებით – მოქალაქემ შსს-ს წინააღმდეგ საქმე მოიგო 26

ნინო მიქატაძის დახმარებით – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირი ქრთამის მიცემის ბრალდებაში გამართლდა 27

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი რამდენიმე პირი აკრძალული ნივთის შენახვის ბრალდებაში გამართლდა 28

თინათინ აკოფიანის დახმარებით – ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს დავა მოუგო 29

მერაბ წულაიას დახმარებით – სხვისი ნივთის დაზიანებაში ბრალდებული გამართლდა 29

ია თოდუას დახმარებით – ქურდობაში ბრალდებული გამართლდა 30

ელისო რუხაძის ძალისხმევით – ქურდობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა 30

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომაში 31

3.

სტატისტიკა

სტატისტიკა 33

4.

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

იურიდიული დახმარება ეთნიკური უმცირესობებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომია 37

საზოგადოებრივი ადვოკატები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებშიც ერთვებიან 37

უფასო იურიდიული დახმარება ონლაინ რეჟიმშიც გახდა ხელმისაწვდომი 37

5.

იურიდიული დახმარების ხარისხი

არასრულწლოვნებთან მუშაობისათვის საზოგადოებრივი ადვოკატების გადამზადება დაიწყო 39

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს 41

ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგები 42

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგები 43

იურიდიული კლინიკები 44

საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამა 45

6.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

გასვლითი კონსულტაციები და ღონისძიებები 48

მედია და საზოგადოებრივი ადვოკატები 52

რეგიონულ ტელევიზიებში იურიდიული დახმარების შესახებ სარეკლამო კამპანია ჩატარდა 54

იურიდიული დახმარების სამსახურს ახალი საიტი და FACEBOOK-ის გვერდი აქვს 54

მოსახლეობა იურიდიული დახმარების სამსახურს სულ უფრო ხშირად მიმართავს 55

7.

საერთაშორისო ურთიერთობები

იორდანიის და ყაზახეთის დელეგაციების ვიზიტები საქართველოში 57

იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაციის ვიზიტი ლიტვაში 58

სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზუნველყოფის გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები 58

8.

სამსახურის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა

მონიტორინგის საბჭოს სხდომები 60

წლის შემაჯამებელი კონფერენცია 61

9.

ფინანსური ანგარიში

ფინანსური ანგარიში 63



1.

იურიდიული დახმარების სისტემა

იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა



თანამშრომელთა საერთო რაოდენობა

თანამშრომელთა ფაქტობრივი რაოდენობა 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით (სულ: 164)	
საზოგადოებრივი ადვოკატები	87
კონსულტანტები	18
სპეციალისტები	11
ცენტრალური აპარატის თანამშრომლები	15
ტექნიკური პერსონალი	33

ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**თბილისი**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **იმედა ბეროშვილი** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **24** ■ კონსულტანტი: **4** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **3713** ■ განეული კონსულტაციები: **1724** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **258**
საკონტაქტო ინფორმაცია	**თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ᵃ, მე-3 სართ (შესასვლელი პასტერის ქუჩიდან)** **ტელ: +995 (32) 2954474/75; +995 (595) 364410**

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **დიმიტრი ბებია** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **4** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **370** ■ გაწეული კონსულტაციები: **718** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **207**
საკონტაქტო ინფორმაცია	**მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51** **ტელ: +995(32)2513873; +995(595)901705**

ქახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **ლიანა ჭუნიაშვილი** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **6** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **434** ■ გაწეული კონსულტაციები: **540** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **166**
საკონტაქტო ინფორმაცია	**თელავი, ერეკლე II გამზ. №8** **ტელ: +995 (350) 271538; +995 (595) 901707**

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ქალაქი რუსთავი, ასევე: გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **იოსებ ჯამასპიშვილი** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **9** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **725** ■ გაწეული კონსულტაციები: **652** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **221**
საკონტაქტო ინფორმაცია	**რუსთავი, ბათუმის ქ. №17,** **ტელ: +995 (341) 241425; +995 (595) 901706**

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **გიორგი ჯეირანაშვილი** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **6** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **362** ■ გაწეული კონსულტაციები: **603** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **242**
საკონტაქტო ინფორმაცია	**გორი, სამეფოს ქ. №54** **ტელ: +995 (370) 279556; +995 (595) 901704**

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **დავით ზარიძე** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **5** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **349** ■ გაწეული კონსულტაციები: **743** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **207**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ახალციხე, თაბუკაშვილის ქ.№17** **ტელ: +995 (265) 220735; +995 (599) 722176**

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **გელა ბერაძე** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **6** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **237** ■ გაწეული კონსულტაციები: **2066** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **613**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11** **ტელ: +995 (492) 253637; +995 (595) 364441**

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ქალაქი ქუთაისი, ასევე, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **გელა სიორდია** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **9** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **1250** ■ გაწეული კონსულტაციები: **1990** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **427**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ქუთაისი, სადგურის მოედანი №3** **ტელ: +995 (431) 253411; +995 (595) 901700**

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **რომან კედია** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **7** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **498** ■ გაწეული კონსულტაციები: **1996** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **708**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24** **ტელ: +995 (415) 253472; +995 (595) 901702**

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ქალაქი ფოთი, ასევე სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **ნათია ბოჯგუა** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **4** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **170** ■ გაწეული კონსულტაციები: **966** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **449**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37** **ტელ: +995 (493) 243332; +995 (595) 901703**

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო

სამოქმედო ტერიტორია	**ქალაქი ბათუმი, ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიონები**
თანამშრომლები	■ ბიუროს უფროსი: **იამზე ზანდარაძე** ■ საზოგადოებრივი ადვოკატი: **7** ■ კონსულტანტი: **1** ■ სპეციალისტი: **1**
2011 წლის სტატისტიკა	■ წარმოებაში მიღებული საქმეები: **525** ■ გაწეული კონსულტაციები: **357** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **173**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6** **ტელ: +995 (422) 242449; +995 (595) 901701**

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი

სამოქმედო ტერიტორია	**ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები**
თანამშრომლები	■ კონსულტანტი: **იამზე მემარნიშვილი**
2011 წლის სტატისტიკა	■ გაწეული კონსულტაციები: **795** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **81**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.** **ტელ: +995 (496) 275992; +995 (595) 308850**

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი

სამოქმედო ტერიტორია	**ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონები**
თანამშრომლები	■ კონსულტანტი: **თეა ჩიკვაიძე**
2011 წლის სტატისტიკა	■ გაწეული კონსულტაციები: **354** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **184**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24** **ტელ: +995 (595) 308847**

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი

სამოქმედო ტერიტორია	**ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები**
თანამშრომლები	■ კონსულტანტი: **ვასილ ბალახაძე**
2011 წლის სტატისტიკა	■ გაწეული კონსულტაციები: **1128** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **723**
საკონტაქტო ინფორმაცია	**ახალქალაქი, თამარ მეფის №44** **ტელ: +995 (591) 996597**

წალკის საკონსულტაციო ცენტრი

სამოქმედო ტერიტორია	**წალკის რაიონი**
თანამშრომლები	■ კონსულტანტი: **დავით გოგიჩაიშვილი**
2011 წლის სტატისტიკა (სექტემბერი-დეკემბერი)	■ გაწეული კონსულტაციები: **102** ■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: **62**
საკონტაქტო ინფორმაცია	**წალკა, არისტოტელეს №22** **ტელ: +995 (599) 090091**

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

	რეესტრის ადვოკატთა საერთო რაოდენობა	**83**
1.	თბილისის რეგიონული რეესტრი	27
2.	ქვემო ქართლის რეგიონული რეესტრი	16
3.	მცხეთა-მთიანეთის რეგიონული რეესტრი	2
4.	კახეთის რეგიონული რეესტრი	7
5.	შიდა ქართლის რეგიონული რეესტრი	5
6.	სამცხე-ჯავახეთის რეგიონული რეესტრი	3
7.	იმერეთის-ქუთაისის რეგიონული რეესტრი	12
8.	იმერეთის-ზესტაფონის რეგიონული რეესტრი	8
9.	სამეგრელოს-ზუგდიდის რეგიონული რეესტრი	9
10.	სამეგრელოს-ფოთის რეგიონული რეესტრი	8
11.	აჭარის რეგიონული რეესტრი	3
12.	გურიის რეგიონული რეესტრი	3
13.	რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული რეესტრი	2

შენიშვნა: ზოგიერთი ადვოკატი რეგისტრირებულია ერთდროულად რამდენიმე რეგიონულ რეესტრში

ძირითადი სტატისტიკა

- რეესტრის ადვოკატების მიერ 2011 წელს წარმოებაში მიღებული საქმეები: 612 სისხლის სამართლის საქმე;
- 2011 წელს შეფასებული და ანაზღაურებული საქმეების რაოდენობა: 466 საქმე;
- რეესტრის ადვოკატთათვის 2011 წელს გაცემული ჯამური ანაზღაურება 40596 ლარი.

სამსახურის მანდატი

2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე;
- სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის;
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელსაც შეიძლება სანქციის სახით დაპატიმრება მოჰყვეს.

2.

წარმატებული საქმეები

ხვიჩა თავაძის დახმარებით
– თვითნებობის ჩადენაში ბრალდებული გამართლდა

ხვიჩა თავაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ხვიჩა თავაძის, ძალისხმევით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თვითნებობის ჩადენაში ბრალდებული დარეჯან კ. სრულად გაამართლა.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მოქალაქე ია ქ-ს პოლიციისადმი შეტყობინება, რომლის თანახმადაც, დარეჯან კ-მ ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან მისი კუთვნილი დახლმაცივარი და თაროები ნებართვის გარეშე წაიღო. გამოძიების შედეგად დარეჯან კ. ბრალდებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც თვითნებობის ჩადენისათვის მაქსიმალურ სასჯელად 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლო სხდომაზე საზოგადოებრივმა ადვოკატმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი დარეგისტრირებული იყო ინდმეწარმედ და სადავო ნივთებს, ია ქ-სთან ერთად, საკუთრების თანაბარი უფლებით ფლობდა. იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ დარეჯან კ-მ მისი კუთვნილი ნივთები თავისთან შესანახად გადაიტანა ისე, რომ ეს ია ქ-ს არ შეატყობინა. თავის დაცვით სიტყვაში, ხვიჩა თავაძემ დარეჯან კ-ს უდანაშაულობა დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლით, რომლის მიხედვით, მოწილენი საზიარო საგანს ერთობლივად მართავენ. თითოეულ მოწილეს კი უფლება აქვს საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და დარეჯან კ-ს მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

პავლე კაკაბაძის დახმარებით
– ქურდობის მცდელობაში ბრალდებული გამართლდა

პავლე კაკაბაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, პავლე კაკაბაძის, ძალისხმევით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქურდობის მცდელობაში ბრალდებული ირაკლი ი. სრულად გაამართლა.

ირაკლი ი-ს ბრალი ედებოდა ქუთაისში სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში, რისთვისაც მას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საქმის სასამართლო განხილვის დროს, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატმა წარადგინა პოზიცია, რომლის თანახმადაც ირაკლი კ-მ გაფანტული საყვავილე კონსტრუქციის ნაწილები შეაგროვა, ხელახლა ააწყო საყვავილე და სკვერში ისევ მიუჩინა თვალსაჩინო ადგილი. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ირაკლი ი-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ელისო რუხაძის დახმარებით
– სხვისი ქონების განადგურებაში ბრალდებული გამართლდა

ელისო რუხაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ელისო რუხაძის, ძალისხმევით ნოდარ გ., რომელსაც მეზობლის ღობის დაზიანებისა და ვენახის განადგურებისათვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევის მკიდრმა ნოდარ გ-მ ზაირა ლ-ს ღობე ორი წლის წინ, საწრეტი არხის გაყვანისას დააზიანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა კი მხოლოდ 2011 წლის მარტში ჩატარდა. თუმცა ექსპერტიზამ ვერც მიყენებული ზიანის ოდენობა და ვერც არხის გაყვანასა და ღობის დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირი ვერ დაადასტურა. ამასთან, საქმეში, დაზარალებულის ჩვენების გარდა, ირიბი მტკიცებულების სახით მოწმეების: ირაკლი მ-სა და ლავრენტი ა-ს ჩვენებებიც მოიპოვებოდა, თუმცა ისინი ფაქტს ვერ ადასტურებდნენ და მხოლოდ სხვათა მონათხრობს გადმოსცემდნენ.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ნოდარ გ-ს გამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, მხარეთა არგუმენტების მოსმენის შემდეგ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია სრულად გაიზიარა და ნოდარ გ. უნადაშაულოდ სცნო.

იმედა ქარქაშაძის დახმარებით
– ძებნილი გამართლდა

იმედა ქარქაშაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, იმედა ქარქაშაძის, ძალისხმევით თბილისის საქალაქო სასამართლომ შხამიანი ნივთიერების შეძენასა და გადაზიდვაში ბრალდებული ე.ბ. სრულად გაამართლა.

საქმის მასალების მიხედვით, ე.ბ-მ 1990 წელს შხამიანი ნივთირება რუსეთის ფედერაციიდან 2 აირბალონით შემოიტანა. მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა ძველი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც მაქსიმალური სასჯელის სახით 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. საქმეში მოიპოვებოდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ნივთიერების მომწამვლელობას ადასტურებდა. თუმცა, ე.ბ-ს ბრალეულობის საბოლოო დადასტურებისათვის აუცილებელი იყო ექსპერტის დაკითხვაც, რაც არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარე ე.ბ.-სთვის სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

საზოგადოებრივი ადვოკატის, იმედა ქარქაშაძის, პოზიცია ემყარებოდა სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც წლების წინ ე.ბ-ს მიერ ჩადენილ ქმედებას დანაშაულებრივად აღარ განიხილავს. ეს ფაქტი და საქმეში უტყუარი მტკიცებულებების არარსებობა წარმოადგენდა ძირითად არგუმენტებს, რითაც საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, თბილისი საქალაქო სასამართლო სისხლის სამართლის კოლეგიამ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ე.ბ-ს მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

ოთარ რუხაძის დახმარებით
– სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული რამდენიმე პირი გამართლდა

ოთარ რუხაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ოთარ რუხაძის, ძალისხმევით ზ.ბ., რომელსაც ბრალად ედებოდა თვითნებობის ჩადენა, სრულად გამართლდა.

საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ ზ.ბ-ს ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში სასურსათო მაღაზია ჰქონდა. აღნიშნული მაღაზიიდან დაზარალებულ ნ.ჯ-ს ნისიად გამოტანილი ჰქონდა 114 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტი და აღნიშნულ ვალს ვერ აბრუნებდა. ბრალდების მხარის მტკიცებით, ზ.ბ-მ დაარღვია დადგენილი წესი, ძალადობით შეიჭრა დაზარალებული ნ.ჯ-ს საცხოვრებელ სახლში და, ვალის სანაცვლოდ, თვითნებურად, მუქარით გამოიტანა ტელევიზორი და DVD-პლეიერი.

საზოგადოებრივი ადვოკატი ოთარ რუხაძე სისხლის სამართლის საქმეში ზ.ბ-თან საპროცესო შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ეტაპზე ჩაერთო. შესაძლო საპროცესო გარიგების თანახმად, ზ.ბ-ს ორწლიანი პირობითი სასჯელი განესაზღრებოდა. თუმცა, ოთარ რუხაძემ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, დაცვის ქვეშ მყოფს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმა და დავის სასამართლოში გაგრძელება ურჩია.

ბრალდების მხარის მოწმეებს დაზარალებული ნ.ჯ. და მისი მეუღლე გ.შ. წარმოადგენდნენ. ამასთან, ინცინდენტის დროს თავად ნ.ჯ. სახლში არ იმყოფებოდა. მომხდარს ორი მეზობელი შეესწრო, რომლებიც, ზ.ბ-ს მტკიცებით, მის უდანაშაულობას დაადასტურებდნენ, თუმცა, დროის სიმცირის გამო, წინასასამართლო სხდომამდე საზოგადოებრივი ადვოკატმა მათი დაკითხვა ვერ მოახერხა. ამისდა მიუხედავად, ოთარ რუხაძემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულისა და მეზობლების დაკითვის შესახებ. სასამართლომ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მხოლოდ ბრალდებულის დაკითხვას დათანხმდა.

საქმის არსებითი განხილვის ეპატზე, საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ გ.შ-ს დაკითხვისას, მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებულის მხრიდან თვითნებობას ადგილი არ ჰქონია. ამ აზრს, ფაქტობრივად, დაეთანხმა ნ.ჯ-ც, რომელმაც დაადასტურა, რომ მომხდარის შესახებ ინფორმაცია მეუღლისგან შეიტყო.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის არგუმენტები გაიზიარა და ზ.ბ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებით ოთარ რუხაძის კიდევ ერთი საქმე დასრულდა. ამჯერად საქმე ეხებოდა ქურდობაში ბრალდებულ ო.ზ-ს, რომელსაც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ო.ზ-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ იგი ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მეზობლის – რ.ბ-ს აუდიომაგნიტოფონს დაეუფლა. მან მოპოვებული ნივთი ჯერ სახლში, ხოლო შემდეგ სოფელში წაიღო. ამ ფაქტს დაზარალებულის მეუღლე შ.ქ. ადასტურებდა. ამასთან, რ.ბ. მაგნიტაფონის დაბრუნებას შეეცადა და მომხდარის შესახებ შეატყობინა ბრალდებულის ყოფილ სიდედრს ნ.ბ-ს, რომელიც დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში ქირით ცხოვრობდა. სასამართლოში დაკითხვისას, ნ.ბ-მ მაგნიტოფონის დაბრუნების შესახებ დაზარალებულის თხოვნა დაადასტურა.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ო.ზ-ს დამცველმა, ადვოკატმა ოთარ რუხაძემ, სასამართლოს წინაშე მომხდარის განსხვავებული ვერსია წარმოაჩინა. საზოგადოებრივი ადვოკატის მტკიცებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მაგნიტოფონი არა ფარულად, არამედ დაზარალებულის ნებართვით, მუსიკის მოსასმენად წაიღო და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა ნათხოვარი ნივთი, მფლობელის დაუკითხავად, სოფელში გადაიტანა, ო.ზ-ს მისი მისაკუთრების განზრახვა არ ჰქონია. დაკითხვისას, საზოგადოებრივი ადვოკატის ამ ვერსიის სისწორე, ფაქტობრივად, დაზარალებულმაც და მისმა მეუღლემაც დაადასტურეს. საზოგადოებრივმა ადვოკატმა ო.ზ-ს გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ო.ზ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ოთარ რუხაძის დახმარებით კიდევ ერთი ბრალდებული გამართლდა. საქმე ეხებოდა გ.ი.-ს, რომელსაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, გ.ი-ს ბრალად ედებოდა ქუთაისში, ჯავახიშვილის I შესახვევში, 22-ე კორპუსის მე-4 სადარბაზოს სხვენში არსებული ლიფტის ელექტროკარადიდან სპილენძის შემცველობის ელექტროდეტალების ქურდობა. აღნიშნული დეტალების ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით – 630 ლარს, ხოლო აღდგენითი სამუშაოების ღირებულება 1018 ლარს შეადგენდა. სამართალდამცავებმა ელექტრონივთები ბრალდებულის ბინაში აღმოაჩინეს.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ბრალდების მხარემ გ.ი-ს დამნაშავედ ცნობა მოითხოვა. პროკურატურა თავის პოზიციას ამყარებდა კორპუსის მაცხოვრებელთა
ჩვენებებით, რომლებიც ქურდობის ფაქტს ადასტურებდნენ. გარდა ამისა, ლიფტების ოპერატორი კომპანიის "რაკკსლიფტის" თანამშრომლებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ აღმოჩენილი ნივთები ლიფტის გამშვების მოწყობილობის დეტალებს წარმოადგენდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა ოთარ რუხაძემ სასამართლოში ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ბრალდების მხარის მოწმეები, მართალია, ქურდობის ფაქტს ადასტურებდნენ, მაგრამ დამნაშავეს ვერ ასახელებდნენ. ბრალდებულმა კი განმარტა, რომ სპილენძის ნივთები სანაგვე ურნაში აღმოაჩინა. გ.ი-ს მამხილებელი პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე ოთარ რუხაძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ოთარ რუხაძის პოზიცია და გ.ი-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

გვანცა შელია და მარინე მიქავა დახმარებით – ორი მოქალაქე ადმინისტრაციული პატიმრობიდან განთავისუფლდა

გვანცა შელია

მარინე მიქავა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ზუგდიდის ბიუროს ადვოკატების გვანცა შელიას და მარინე მიქავას ძალისხმევით მოქალაქეები – ც.ხ. და ა.მ. ადმინისტრაციული პატიმრობიდან განთავისუფლდნენ. წალენჯიხის რაიონულმა სასამართლომ, უაქციზო სიგარეტით ვაჭრობისათვის, ც.ხ-ს და ა.მ-ს ოცდახუთ-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. დაპატიმრებულთა ნათესავებმა კი იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართეს.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა წალენჯიხის რაიონული სასამართლოს დადგენილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს და დაცვის ქვეშ მყოფების გათავისუფლება მოითხოვეს. თავიანთ პოზიციას ადვოკატები ასაბუთებდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.

საზოგადოებრივი ადვოკატები მიუთითებდნენ იმ შემამსუბუქებელ გარემოებებზე, რომლებიც წალენჯიხის რაიონულმა სასამართლომ, ც.ხ-სა და ა.მ-სთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისას, არ გაითვალისწინა. კერძოდ, ორივე პატიმარი სოციალურად დაუცველი იყო. გარდა ამისა, ც.ხ. მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო. ა.მ-ს კი ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებდა. საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ წალენჯიხის რაიონული სასამართლოს დადგენილება შეცვალა და დაკავებულები ც.ხ. და ა.მ. პატიმრობიდან გაათავისუფლა.

მარიკა გერსამიას დახმარებით – ძებნილი გამართლდა

მარიკა გერსამია

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, მარიკა გერსამიას, ძალისხმევით, ძებნილი – ვ.ხ., რომელსაც ბრალად ედებოდა საბრძოლო მასალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და გადაზიდვა, სრულად გამართლდა.

ვ.ხ., რომელიც 1990-92 წლებში ქართულ-ოსური კონფლიქტის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა, წლების განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა. საქმის მასალების მიხედვით, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2003 წელს, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა მის სახლში კალაშნიკოვის ავტომატისთვის განკუთვნილი 18 რგოლური აალების ვაზნა, 3 მჭიდი და მჭიდში მოთავსებული 2 საბრძოლო ვაზნა აღმოაჩინეს. ჩხრეკას ბრალდებულის ოჯახის წევრები – მამა და შვილი, ასევე, მეზობლები დაესწრნენ. გამოძიების ვარაუდით, აღმოჩენილი ნივთები ვ.ხ-მ სწორედ 90-იან წლებში, საომარი კონფლიქტის დროს მოიპოვა.

ბრალდების მხარე ვ.ხ-ს დამნაშავედ ცნობას და მის მიმართ, სასჯელის სახით, 7 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა. პროკურატურამ სასამართლოში მოწმეების სახით წარადგინა ვ.ხ-ს მეზობლები, რომლებმაც ბრალდებულის სახლიდან საბრძოლო მასალების ამოღების ფაქტი დაადასტურეს. ამავდროულად, ისინი ვერ ასაბუთებდნენ, რომ აღმოჩენილი ნივთები ბრალდებულს ეკუთვნოდა. ამავე აზრის იყო ვ.ხ-ს მამაც, რომელმაც, გარდაცვალებამდე მიცემულ ჩვენებაში, საბრძოლო მასალების შვილისადმი კუთვნილება არ დაადასტურა. მისი ხელმეორედ დაკითხვის შეუძლებლობის გამო, სასამართლომ გარდაცვლილის ჩვენება გამოაქვეყნა.

საზოგადოებრივი ადვოკატი მარიკა გერსამია ბრალდების მხარის პოზიციას არ ეთანხმებოდა. მისი თქმით, საქმეში არ მოიპოვებოდა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ვ.ხ-ს განზრახვას და ბრალეულობას დაადასტურებდა. რაკი სასამართლოს განაჩენი მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს ვერ დაეყრდნობოდა, საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მარიკა გერსამიას პოზიცია და ვ.ხ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ნუგზარ თამარაშვილის დახმარებით – სხვისი ნივთის განადგურებაში ბრალდებული გამართლდა


ნუგზარ თამარაშვილი

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატის, ნუგზარ თამარაშვილის ძალისხმევით, ნინოწმინდის მკვიდრი – ბრალდებული გ.ვ., რომელსაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, გ.ვ.-ს ბრალი ედებოდა ნინოწმინდაში, ე.ი-ს ეზოში განთავსებული, ა.ფ-ის კუთვნილი 4 ტონა თივის დაწვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ბრალდების მხარემ სასამართლოში მოწმეების სახით თვითმხილველები და ბრალდებულის ყოფილი მეუღლე ს.ვ. წარადგინა. ვერც ერთი მოწმე ვერ ადასტურებდა, რომ თივას ცეცხლი სწორედ გ.ვ-მ წაუკიდა. ამასთან, ს.ვ. აცხადებდა, რომ მომხდარის შესახებ პოლიციელებისგან შეიტყო.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა ნუგზარ თამარაშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. მან სასამართლოში ყურადღება პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობაზე გაამახვილა. კერძოდ, ვერც ერთი მოწმე პირდაპირ ვერ უთითებდა გ.ვ-ს მიერ თივის დაწვის ფაქტზე.

საბოლოოდ, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და გ.ვ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ნინო მიქატაძის დახმარებით
– პრობაციონერი თავისუფლების აღკვეთას გადაურჩა



ნინო მიქატაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ნინო მიქატაძის, დახმარებით, პრობაციონერი დ.მ., რომელსაც, პრობაციის ბიუროში სისტემატიური გამოუცხადებლობის გამო, პირობითი სასჯელი გაუუქმეს, თავისუფლების აღკვეთას გადაურჩა.

დ.მ., რომელიც 2009 წლის თებერვლიდან აღრიცხვაზე თბილისის პრობაციის ბიუროში იმყოფებოდა, სამწლიან პირობით სასჯელს ქურდობისათვის იხდიდა. რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, იგი ხშირად ვერ ახერხებდა, მისთვის დადგენილი რეჟიმით, პრობაციის ბიუროში გამოცხადებას, რის გამოც, 2010 წლის მაისში, თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსმა საქალაქო სასამართლოს მიმართა წარდგინებით დ.მ-თვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ. სასამართლომ მიმართვა დააკმაყოფილა. დ.მ-ზე გამოცხადდა ძებნა. ის 2011 წლის ივნისში დააკავეს.

იურიდიული დახმარების სამსახურს დ.მ-თვის საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით მისმა მეუღლემ ქ.ჯ-მ მიმართა. თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში გულდასმით შეისწავლეს საკითხი. ადვოკატმა ია თოდუამ კერძო სააპელაციო საჩივარი მოამზადა, ხოლო ადვოკატმა ნინო მიქატაძემ დ.მ-ს ინტერესები სასამართლოში დაიცვა.

ნინო მიქატაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების გაუქმებას და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ პირობითი მსჯავრის აღსრულებას, ან გამოსაცდელი ვადის ერთი წლით გაგრძელებას ითხოვდა. საზოგადოებრივი ადვოკატი მიიჩნევდა, რომ საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი გარემოებების უგულვებელყოფით მიიღო. მისი თქმით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა შემდეგი ფაქტები: დ.მ-ს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იგი თბილისში, მეუღლის ოჯახის ნაქირავებ ბინაში, ცხოვრობდა. ოჯახის წევრებთან მომხდარი კონფლიქტის გამო, მას ბინის დატოვება მოუხდა. ამას დაერთო მძიმე ავადმყოფობა მისი დედისა, რომელიც ახმეტაში ცხოვრობდა. დ.მ-ს დედის მოსავლელად თბილისიდან ახმეტაში გადასვლა მოუწია, რამაც პრობაციის ბიუროში გამოცხადება კიდევ უფრო გაართულა. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც დ.მ-მ მასზე გამოცხადებული ძებნის შესახებ შეიტყო, იგი სამართალდამცავ ორგანოში ნებაყოფლობით გამოცხადდა. ამასთან, ამ ხნის მანძილზე მას განმეორებითი დანაშაული არ ჩაუდენია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო დ.მ-ს ორი მცირეწლოვანი შვილის ინტერესებიც. მამის დაპატიმრების შემთხვევაში ბავშვებს მშობლის ზრუნვა კიდევ უფრო მოაკლდებოდათ. საზოგადოებრივი ადვოკატი ნინო მიქატაძეც თავის პოზიციას სწორედ ამ გარემოებებით ასაბუთებდა.

საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის მოთხოვნა დააკმაყოფილა. დ.მ. თავისუფლების აღკვეთას გადაურჩა. მისთვის დადგენილი გამოსაცდელი ვადა ერთი წლით გახანგრძლივდა და მან პირობითი სასჯელის მოხდა განაგრძო.

ცირა გამცემლიძის დახმარებით – ორი ბრალდებული სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა

ცირა გამცემლიძე

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ცირა გამცემლიძის, ძალისხმევით, ნ.ა. და ბ.წ., რომლებსაც ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში ედებოდათ, სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

საზოგადოებრივი ადვოკატი საქმეში ბრალდებულთათვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ ჩაერთო. ცირა გამცემლიძემ საქმის მასალები შეისწავლა. როგორ გაირკვა, ორივე ბრალდებულმა დანაშაული გამოძიების ეტაპზე აღიარა. მათ ბრალეულობას ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა და მოწმეთა ჩვენებებიც ადასტურებდა. ნ.ა-ს და ბ.წ-ს სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ.

ადვოკატმა ცირა გამცემლიძემ მოიძია დაცვის ქვეშ მყოფთა ბრალდების შემამსუბუქებელი მტკიცებულებები და ნ.ა-ს და ბ.წ-ს შესთავაზა, პროკურატურისათვის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განცხადებით მიემართათ. ბრალდებულებმა საზოგადოებრივი ადვოკატის რჩევა გაითვალისწინეს.

საბოლოოდ, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მათ სამი წელი პირობითი მსჯავრი მიუსაჯა, რაც, საბოლოოდ, 4 წლით გამოსაცდელი ვადით შეუცვალა და ორივე მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

იამზე მემარნიშვილის დახმარებით – სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს სასამართლოში დავა მოუგო

იამზე მემარნიშვილი

იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, იამზე მემარნიშვილის, ძალისხმევით, ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ – რამაზ ი-მ, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო კონტრაქტის დარღვევას ედავებოდა, საქმე მოიგო.

რამაზ ი-ს დედამ, ნინო ც-მ, სასამართლოში შვილის უფლებების დაცვის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. როგორც აღმოჩნდა, რამაზ ი. თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ სამხედრო ნაწილში 2010 წლიდან მუშაობდა. მიმდინარე წლის ივნისში, დედის ავადმყოფობის გამო, მას სამხედრო ნაწილის დატოვება და მშობლისთვის სამკურნალო პრეპარატის მიტანა მოუხდა. რამაზ ი. ნაწილში უმნიშვნელო დაგვიანებით გამოცხადდა, რაც თავდაცვის სამინისტრომ კონტრაქტის დარღვევად მიიჩნია, რამაზ ი. დაითხოვა და 38 ათასი ლარის ოდენობით სანქცია დააკისრა. უმუშევრად დარჩენილ რამაზ ი-ს კი საზღვარგარეთ წასვლა მოუხდა.

თავდაცვის სამინისტროს სარჩელის პასუხად, იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა, იამზე მემარნიშვილმა, შესაგებელი შეადგინა. შესაგებელში რამაზ ი-ს უდანაშაულობის დამადასტურებელ მთავარ მტკიცებულებად მითითებული იყო შემდეგი ფაქტი: როგორც გაირკვა, რამაზ ი. არათუ არ იცნობდა კონტრაქტის პირობებს, არამედ ხელიც არ ჰქონდა მოწერილი მასზე, რაც, თავისთავად, რამაზ ი-ს სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა.

საბოლოოდ, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ეს გარემოება გაითვალისწინა, უარი თქვა თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და რამაზ ი. 38 ათასი ლარის გადახდისგან გაათავისუფლა.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს, სამსახური მოქალაქეებს კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე მაინც არ ტოვებს. სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საშუალება აქვთ იურიდიული დახმარების სამსახურს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისათვის მიმართონ. არაერთ შემთხვევაში მოქალაქეებს სასამართლოში წარმატებისათვის სწორედ ამ სამსახურის იურისტების მიერ მომზადებული დოკუმენტების წყალობით მიუღწევიათ.

მამუკა ზოიძის დახმარებით
– ქურდობაში ბრალდებული გამართლდა

მამუკა ზოიძე

იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის მამუკა ზოიძის ძალისხმევით, ბრალდებული ე. მ., რომელსაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად იქნა გამართლებული.

საქმის მასალების მიხედვით, ე.მ-ს ბრალი ედებოდა მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში მგზავრის მიერ დატოვებული ხელჩანთის ფარულ, მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში. ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ.

სახელმწიფო ბრალდება სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდა ე. მ- ის დამნაშავედ ცნობას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მგზავრების ავტომანქანიდან გადასვლის დროს, ე. მ- ს არაფერი უთქვამს მათთვის საბარგულში დარჩენილი ხელჩანთის შესახებ. ამასთან, ე. მ- ს შესაძლებლობა ჰქონდა სავარაუდო მისამართზე მოეძებნა ხელჩანთის მესაკუთრე, ან შეეტყობინებინა მომხდარის შესახებ სათანადო ორგანოებისათვის, ნაცვლად ამისა იგი მართსაწინააღდმეგოდ დაეუფლა სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა, მამუკა ზოიძემ, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. ადვოკატის მტკიცებით, ე. მ-ს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქურდობის განზრახვა, ვინაიდან ე. მ-მ მგზავრები მიიყვანა რესტორანში, რაც თავისთავად გამორიცხავდა სავარაუდო მისამართზე ხელჩანთის მესაკუთრის მოძებნას. ამასთან, ე. მ-მ დარჩენილი ხელჩანთის შესახებ მოუყვა სხვა ტაქსის მძღოლებს და სთხოვა მათ, რომ თუ ვინმე მოიკითხავდა მსგავს ხელჩანთას, მისთვის ეცნობებინათ. საბოლოოდ, ე. მ.-ს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩანთა მიეტანა ადგილობრივ ტელევიზიაში და ამ გზით ეპოვნა ნივთის მესაკუთრეები. 10 დღის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა ე. მ-ს მიაკითხეს სახლში, რომლებსაც ამ უკანასკნელმა ხელჩანთა ხელუხლებელი გადასცა. საზოგადოებრივი ადვოკატის აზრით, ე. მ-ს მიერ ავტომანქანის საბარგულში დატოვებული სხვისი ხელჩანთის შესახებ სათანადო ორგანოებისათვის განცხადების ვალდებულება მას ეკისრებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლით, რომლის შეუსრულებლობაც არ შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ამასთან, სამოქალაქო კანონმდებლობის კომენტარების მიხედვით, ნაპოვარი ნივთი შესაძლებელია შესანახად მპოვნელის მფლობელობაში დარჩეს.

საბოლოოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ე. მ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

დავით ბოჭორიშვილის დახმარებით – ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში ბრალდებული გამართლდა

დავით ბოჭორიშვილი

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატის, დავით ბოჭორიშვილის, ძალისხმევით, არტაშ ხ., რომელსაც ბრალად ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ედებოდა, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, ახალქალაქის მკვიდრს, არტაშ ხ-ს, სერგეი ე.-სთან მოუვიდა კონფლიქტი, რაც მათ შორის შელაპარაკებასა და ფიზიკურ დაპირისპირებაში გამოიხატა. კონფლიქტის მიზეზი წინა დღით არტაშ ხ-სა და სერგეი ე.-ს ძმას შორის მომხდარი ჩხუბი გახდა. სერგეი ე.-მ მის ჯიხურთან მყოფ არტაშ ხ-ს შენიშვნა მისცა, რის პასუხადაც არტაშ ხ. გადმოვიდა ავტომანქანიდან და სერგეი ე-ს ცემა დაუწყო. შედეგად, სერგეი ე.-მ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო.

ბრალდების მხარემ სასამართლოში წარადგინა მოწმეები, რომელებიც ინციდენტს არ შესწრებიან, მაგრამ მომხდარს სერგეი ე-ს მონათხრობის საფუძველზე ჰყვებოდნენ. თავად დაზარალებულმა კი დაკითხვისას ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა. ამ ფონზე საზოგადოებრივი ადვოკატის, დავით ბოჭორიშვილის, პოზიცია გაცილებით დამაჯერებელად გამოიყურებოდა. ადვოკატმა მოწმის სახით ბრალდებული დაკითხა. მან მომხდარის განსხვავებული ვერსია წარმოადგინა. არტაშ ხ-ს თქმით, დაზარალებულმა სხეულის დაზიანება მიიღო სწორედ მაშინ, როდესაც ბრალდებულის ავტომანქანის კარის გაღებას ცდილობდა. მომხდარის თვითმხილველი ნანა მ-ც ამასვე ადასტურებდა.

საზოგადოებრივი ადვოკატი თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას მოითხოვდა, რასაც დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებების არასანდოობით ასაბუთებდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაცვის მხარის პოზიცია გაიზიარა და არტაშ ხ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით – თაღლითობაში ბრალდებული რამდენიმე პირი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა

იოსებ გაბარაევი

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, მაია ნ., რომელსაც თაღლითობისთვის ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

საქმის მასალების მიხედვით, მაია ნ-მ გორის თეატრთან ავტოსადგომის დარაჯისგან მობილური ტელეფონი ითხოვა, თუმცა არ დაუბრუნა და მიიმალა. დაზარალებულმა კუთვნილი ნივთის დაბრუნება პირადად სცადა, მაგრამ გაუჩინარებული ქალბატონის საცხოვრებელ ადგილზე მისულს არავინ დახვდა, რის გამოც პოლიციას მიმართა. მაია ნ-ს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და, აღმკვეთი ღონისძიების სახით, დაპატიმრება შეეფარდა. რამდენიმე დღეში ბრალდებული დააკავეს. მან დანაშაული აღიარა.

წინასასამართლო სხდომამდე ხუთი დღით ადრე, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის მტკიცებულებების გაცვლის დროს, დაცვის ქვეშ მყოფისთვის, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა წარადგინა რამდენიმე ცნობა, საიდანაც ირკვეოდა, რომ მაია ნ-ს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი, ხოლო თავად ბრალდებული ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლის მკვიდრი და სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენელია.

ბრალდების მხარემ აღნიშნული გარემოებები მხედველობაში მიიღო და, საბოლოოდ, მიღწეულ იქნა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებულს, ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებითი სასჯელის გარეშე, ოთხწლიანი პირობითი სასჯელი განესაზღვრა.

ადვოკატი იოსებ გაბარაევი ანალოგიურ საქმეში იცავდა თ.ე.-ს, რომელსაც ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, თ.ე-მ ა.კ-გან შეიძინა ბრილიანტის სამეული, რომლის საფასურიც არ გადაიხადა. მას აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება შეეფარდა. ადვოკატის დანიშნის თხოვნით შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ბრალდებულის დედამ მიმართა. თ.ე. დანაშაულს აღიარებდა.

იოსებ გაბარაევის დახმარებით, ბრალდებულმა, მიყენებული ზარალის ანაზღაურების პირობით, დაზარალებულთან მორიგება შეძლო. ამას, შემამსუბუქებელი გარემოებების სახით, შემდეგი მტკიცებულებებიც ერთვოდა: ბრალდებული დადებითად ხასიათდებოდა; გარდა ამისა, თ.ე-ს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

საბოლოოდ, ბრალდებულისთვის ხელსაყრელი პირობებით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თ.ე-ს ექვსწლიანი გამოსაცდელი ვადა დაენიშნა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, ნათელა ბიწაძის, ძალისხმევით, ნ.ტ., რომელსაც თაღლითობისთვის შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

ნ.ტ. წლების მანძილზე ჯერ სახლმმართველობის უფროსი, ხოლო შემდეგ ამავე დაწესებულების ბაზაზე შექმნილი შპს-ს დირექტორი იყო. 2010 წელს აღნიშნულმა შპს-მ არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, ნ.ტ. , გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, აგრძელებდა სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევას. საქმის მასალების მიხედვით, მან რამდენიმე ოჯახისგან აზომვითი ნახაზების მომზადების, საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციისა და სხვა მომსახურებისთვის 1400 ლარზე მეტი ოდენობის თანხა მიიღო. თუმცა, დაზარალებულთათვის მიცემული პირობა არ შეასრულა და მიიმალა.

ნათელა ბიწაძე

ძებნის გამოცხადების შემდეგ, მას სავალდებულო წესით დამცველად იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატი ნათელა ბიწაძე დაენიშნა. დაცვის ქვეშ მყოფთან გასაუბრების შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ძალისხმევა ნ.ტ. ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენისკენ მიმართა. აღმოჩნდა, რომ ბრალდებულის მეუღლეს, ასევე შვილსა და შვილიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი კი ნ.ტ. იყო.

საბოლოოდ, პროკურატურამ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ნ.ტ.-სთან მიაღწია საპროცესო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს 6 -წლიანი პირობითი სასჯელი განესაზღვრა და სასამართლოს სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

თაღლითობაში ბრალდებულის დაცვა იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატ ცირა გამცემლიძესაც მოუხდა. მისი დაცვის ქვეშ მყოფს - მ.მ-ს ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

მ.მ. წლების განმავლობაში ერგნეთის ბაზრობაზე გამყიდველად მუშაობდა. 2006 წელს მან, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ნ.ა-გან 3500 ლარის ღირებულების ტყავის ქურთუკები შეიძინა, თუმცა საქონლის ღირებულება არ გადაიხადა. 2008 წელს ბრალდებული სამუშაოდ თურქეთში წავიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე დაზარალებული ნ.ა. კუთვნილი თანხის მიღებას ამაოდ ცდილობდა, რის გამოც იძულებული გახდა პროკურატურისთვის მიემართა. თურქეთში მყოფ მ.მ-ზე ძებნა გამოცხდაა. მას, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, ადვოკატად იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ცირა გამცემლიძე დაენიშნა.

მ.მ., თურქეთიდან საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისთანავე დააკავეს. მან დანაშაული აღიარა. საზოგადოებრივი ადვოკატი, ცირა გამცემლიძე, დაცვის ქვეშ მყოფთან გასაუბრების შემდეგ, მისი ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების მოძიებას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ მ.მ. სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი იყო და ოთხი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. მათგან ორს კი ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები ჰქონდა. გარდა ამისა, ცირა გამცემლიძის დახმარებით, ბრალდებულმა, ვალის ნაწილის დაფარვის პირობით, დაზარალებულთან მორიგება შეძლო, რასაც სანოტარო წესით დამოწმებული აქტი ადასტურებდა. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ცირა გამცემლიძის რჩევით, ბრალდებულმა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადებით მიმართა.

საბოლოოდ, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დაამტკიცა პროკურატურასა და მ.მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის პირობით ბრალდებულს ექვსწლიანი გამოსაცდელი ვადა დაენიშნა და სასამართლოს დარბაზიდანვე განთავისუფლდა.

მაია დარასელიას ძალისხმევით
– ინდმეწარმე 5000 ლარიანი ჯარიმის გადახდას გადაურჩა

მაია დარსელია

იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ფოთის ბიუროს კონსულტანტის მაია დარასელიას ძალისხმევით, ინდმეწარმე ზაურ შ., რომელსაც შემოსავლების სამსახურმა არამართლზომიერი სანქცია დააკისრა, 5000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდისგან განთავისუფლდა.

შემოსავლების სამსახურმა აფხაზეთიდან დევნილი ზაურ შ. სალარო აპარტის არქონის გამო 500 ლარით დააჯარიმა. მოგვიანებით, მის მიერ ჯარიმის გადახდის შემდეგ, შემოსავლების სამსახურმა გაარკვია, რომ აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ზაურ შ-ს ადრეც დაკისრებია სანქცია, მაგრამ მას შესაბამისი ჯარიმა არ გადაუხდია. ამის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურმა ზაურ შ-ს ჯარიმა 5500 ლარამდე გაუზარდა, მისი ქონება კი დააყადაღა.

ინდმეწარმემ სამართლებრივი რჩევისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ფოთის ბიუროს მიმართა. ბიუროს კონსულტანტმა მაია დარასელიამ შეისწავლა მისი საკითხი, გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ საჩივარიც შეუდგინა. საჩივარში მაია დარასელიამ მოითხოვა იმ ადმინისტრაციული აქტების გაუქმება, რომლებიც ზაურ შ-ს მიმართ სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებდა. აღნიშნული მოთხოვნა გამყარებული იყო შემდეგი არგუმენტებით: შემოსავლების სამსახურის მიერ პირველად გამოცემული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ზაურ შ-ს კანონით დადგენილი პროცედურით არ ჩაბარებია. შესაბამისად, ინდმეწარმე სანქციის შესახებ ინფორმირებული არ იყო. გარდა ამისა, პირველად შედგენილი ოქმი შეიცავდა ხარვეზებს, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული, თუ რა ტიპის საკონტროლო შესყიდვა განხორციელდა სალარო აპარატის არქონის დასადასტურებლად, რაც ასევე წარმოადგენდა კანონის მოთხოვნის უგულვებელყოფას.

საბოლოოდ, შემოსავლების სამსახურმა საჩივარი დააკმაყოფილა და ზაურ შ. ზედმეტად დარიცხული ჯარიმის გადახდისგან გაათავისუფლა.

დიმიტრი სამსახარაძის დახმარებით
– მოქალაქემ შსს-ს წინააღმდეგ საქმე მოიგო

დიმიტრი სამხარაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტის დიმიტრი სამხარაძის ძალისხმევით, რუსთავის მკვიდრი შოთა ბ., რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო დააჯარიმა, დაკისრებული ჯარიმის გადახდისგან გათავისუფლდა.

თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა ორი ავტომობილის შეჯახებამ გამოიწვია. პოლიციამ თავდაპირველად მეორე ავტომობილის მძღოლი დააჯარიმა, თუმცა, ამ უკანასკნელის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, შოთა ბ-ს 200 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

შოთა ბ-მ თავისი უფლებების დასაცავად მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს, სადაც მისი საქმე ყურადღებით შეისწავლეს და შსს-ს წინააღმდეგ სარჩელი შეუდგინეს. სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა. ჩატარდა კიდევ სამი ექსპერტიზა, რის შედეგადაც სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ შსს-მ შოთა ბ. არამართლზომიერად დააჯარიმა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ შოთა ბ-ს სარჩელი დაკმაყოფილა, ბათილად ცნო შსს-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტები და მოსარჩელე 200 ლარის გადახდისგან გაათავისუფლა.

ᲨᲝᲗᲐ ᲒᲐᲦᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს მიმართა თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი დააჯარიმა.

„ადგილზე მოსულმა პოლიციამ დააფიქსირა, რომ ავტომანქანების შეჯახებაში ჩემი მოწინააღმდეგე იყო დამნაშავე. პოლიციამ მას შესაბამისი აქტი შეუდგინა, მე კი გამათავისუფლა. მაგრამ მოგვიანებით, საპატრულო პოცილიის დეპარტამენტმა გადაწყვეტილება შეცვალა და ამ საქმეში პასუხისმგებლობა მე დამაკისრა. დახმარებისთვის ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს მივმართე. იქ გულთან მიიტანეს ჩემი გაჭირვება – ის, რომ მე არავითარი გამოცდილება მქონდა ამ საქმეში. ამიხსნეს, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. მომიმზადეს სარჩელი და ისეთი კვალიფიციური მომსახურება გამიწიეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადვოკატის გარეშე მოვუგე პროცესი“.

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲘᲥᲐᲢᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲒᲘᲗ – ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲠᲠᲘ ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲠᲐᲦᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ნინო მიქატაძის, ძალისხმევით, ტ.ს., რომელიც სასჯელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში იხდიდა, ქრთამის მიცემის ბრალდებაში გამართლდა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ტ.ს-ს ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საქმის მასალების მიხედვით, მას ბრალი ედებოდა აღნიშნული დაწესებულების ერთ-ერთი კონტროლიორისათვის, მობილური ტელეფონის შეტანაზე თანხმობის სანაცვლოდ, 500 ლარის ოდენობით ქრთამის შეთავაზებაში.

სასამართლო განხილვის დროს ბრალდების მხარემ მოწმეების სახით წარადგინა სასჯელაღსრულების დაწესებულების კონტროლიორები, რომელთაგან ერთ-ერთმა ტ.ს.-ს მხრიდან მისთვის ქრთამის შემოთავაზების ფაქტი დაადასტურა. დანარჩენმა ორმა კი განაცახადა, რომ თავიანთ კოლეგასა და ტ.ს.-ს შორის საუბარი მხოლოდ შორიდან დაინახეს, ხოლო ქრთამის შემოთავაზების შესახებ ინფორმაცია კი ტ.ს-თან უშუალო კონტაქტში მყოფი კონტროლიორისგან გაიგეს. დამატებითი მტკიცებულების სახით ბრალდების მხარემ ასევე წარადგინა კომპაქტდისკი, ტ.ს.-ს და კონტროლიორს შორის ორწუთიანი საუბრის ჩანაწერით, საიდანაც კანონსაწინააღმდეგო არაფერი ირკვეოდა. ამასთან, სასამართლოში დაკითხვისას, ტ.ს-მ ვერ იცნო ის კონტროლიორი, რომელიც მას ქრთამის შეთავაზებაში ამხელდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა, რაც შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა: ტ.ს. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან და მსჯავრდებულებთან ურთიერთობებში კარგი ყოფა-ქცევით გამოირჩეოდა. ამის გამო ის გადაიყვანეს სამეურნეო ნაწილში, სადაც დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე მუშაობდა. ამ დროის მანძილზე მას ნებისმიერ დროს შეეძლო თავისუფლად ესარგებლა ტელეფონით და ოჯახის წევრებს დაკავშირებოდა, შესაბამისად, ტ.ს.-ს კომუნიკაციის დამატებითი საშუალებები არ სჭირდებოდა. ამასთან, ტ.ს. მობილურის შეტანის განზრახვა რომც ჰქონოდა, ამისათვის უცნობ კონტროლიორს არ მიმართავდა.

საბოლოოდ, სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ტ.ს.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი რამდენიმე პირი აკრძალული ნივთის შენახვის ბრალდებაში გამართლდა

გვანცა გუგეშაშვილი

გიორგი რამაზაშვილი

მერაბ წკრიალაშვილი

სულხან კომახიძე

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, **გვანცა გუგეშაშვილის**, ძალისხმევით, მსჯავრდებული რ. რ., რომელიც სასჯელს ქსნის №15 დაწესებულებაში იხდიდა, აკრძალული ნივთის შენახვის ბრალდებაში გამართლდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა, შემოწმება-დათვალიერების დროს, მსჯავრდებულების რ.რ-სა და მ.ს.-ის საკანში 20-ლარიანი კუპიურა აღმოაჩინეს. რ.რ. და მ.ს. დანაშაულს არ აღიარებდნენ. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მათ, სასჯელის სახით, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საწყის ეტაპზე ორივე ბრალდებულს კერძო ადვოკატი იცავდა. თუმცა, მოგვიანებით, რ.რ-მ დამცველის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა.

ბრალდების მხარის მოწმეები – სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები აკრძალული ნივთის აღმოჩენის ფაქტს ადასტურებდნენ. საზოგადოებრივი ადვოკატი კი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულება ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა, სადაც მსჯავრდებულებს გადაადგილების თავისუფლება აქვთ. შესაბამისად, რ.რ.-სა და მ.ს-ს საკანში კუპიურის შეტანა ნებისმიერ მსჯავრდებულს შეეძლო. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაცვის მხარის პოზიცია გაიზიარა და ორივე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებულ ჯ.ბ-ს საკანში, მაგიდის ქვეშ ფული აღმოაჩინეს. ჯ.ბ.-ს დამცველად თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი **გიორგი რამაზაშვილი** დაენიშნა. სასამართლო განხილვის დროს, ვერც ჯ.ბ-ს თანამესაკნეებმა, ვერც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ დაადასტურეს აღმოჩენილი კუპიურის ჯ.ბ-სადმი კუთვნილება. ამის საფუძველზე, საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაცვის მხარის პოზიცია გაიზიარა და ჯ.ბ. წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებმა **მერაბ წკრიალაშვილმა** და **სულხან კომახიძემ** მონაწილეობა მიიღეს მსჯავრდებულ ჯ.ჯ.-ს დაცვაში, რომელიც სასჯელს რუთავის №16 დაწესებულებაში იხდიდა. ჯ.ჯ.-ს საკანში აღმოაჩინეს კუსტარულად დამზადებული სასმელი, ე.წ. ბრაგა, რომელიც ოთხი ხუთლიტრიანი ბიდონით სავენტილაციო შახტაში ინახებოდა. მართალია, ჯ.ჯ.-მ ხელი მოაწერა ჩხრეკა-ამოღების აქტს, რითაც აღმოჩენილი ნივთების მისდამი კუთვნილება დაადასტურა, მაგრამ სასამართლო განხილვის დროს სარგებლობდა დუმილის უფლებით. მასთან ერთად საკანში მოთავსებულმა პირებმა, ისევე როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ დაადასტურეს, რომ ბიდონები ჯ.ჯ.-ს ეკუთვნოდა. მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა სულხან კომახიძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, სასამართლომ ჯ.ჯ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შენახვაში ბრალდებულის დაცვა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატს **ნინო მჭედლიშვილსაც** მოუხდა. მისი დაცვის ქვეშ მყოფი, მ.ა. სასჯელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში იხდიდა. მ.ა-ს საკანში, მოულოდნელი შემოწმება-დათვალიერების შედეგად, ხელსაბანი ნიჟარის ქვეშ ლითონის მავთულისგან დამზადებული მჩხვლეტავი საგანი ე.წ. შტირი აღმოაჩინეს. ვინაიდან ბრალების მხარემ ვერ წარმოადგინა იმ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ საკანში აღმოჩენილი ნივთი სწორედ მ.ა-ს ეკუთვნოდა, საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. საამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის მოთხოვნა და მ.ა. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აკრძალული საგნის შენახვის ბრალდებაში გაამართლა.

თინათინ აკოფიანის დახმარებით
– ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს დავა მოუგო

თინა აკოფიანი

იურიდიული დახმარების სამსახურის საცმხე-ჯავახეთის ბიუროს კონსულტანტის, თინათინ აკოფიანის, ძალისხმევით, რ.ქ.-მ თავდაცვის სამინისტროს სასამართლოში საქმე მოუგო.

რ.ქ. სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში 2008 წლის ივნისიდან იმყოფებოდა. იმავე წლის ოქტომბერში, წვრთნებისას მიღებული ტრამვის გამო, რ.ქ. ჯერ ჰოსპიტალში განთავსდა, იქიდან კი მოკლევადიანი შვებულებით შინ დაბრუნდა. სახლში ყოფნისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც მან სამხედრო სამსახური ვეღარ განაგრძო. თავდაცვის სამინისტრომ ეს კონტრაქტის დარღვევად მიიჩნია და რ.ქ.-ს სანქციად ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და კომპენსაციის გადახდა დააკისრა, რამაც ჯამში 48 ათას ლარს გადააჭარბა. თანხის ამოსაღებად კი თავდაცვის სამინისტრომ რ.ქ.-ს წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით მიმართა.

რ.ქ.-მ, თავისი უფლებების დასაცავად, იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს მიმართა. ბიუროს კონსულტანტმა თინათინ აკოფიანმა საქმე შეისწავლა და, თავდაცვის სამინისტროს სარჩელის პასუხად, შესაგებელი მოამზდა. შესაგებელში რ.ქ.-ს პოზიცია დასაბუთდა შემდეგი არგუმენტებით: თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტი ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. რ.ქ.-ს ნაწილში გამოუცხადებლობის ფატზე ჩატარდა გამომძიება, რომელმაც დადგენდა არამარტო რ.ქ.-ს ჯამრთელობის გაუარესების ფაქტი, არამედ ის გარემოებაც, რომ იგი მიღებული დაზიანების გამო, მშვიდობიანობის დროს სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულ ვარგისიანად ითვლებოდა. ეს გარემოება კი რ.ქ.-ს ყოველგვარი სანქციისგან ათავისუფლებდა.

საბოლოოდ, სასამართლომ გაითვალისწინა თინათინ აკოფიანის პოზიცია და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

მერაბ წულაიას დახმარებით
– სხვისი ნივთის დაზიანებაში ბრალდებული გამართლდა


მერაბ წულაია

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, მერაბ წულაიას, ძალისხმევით, ნ.ყ., რომელსაც სხვისი ნივთის დაზიანებისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, ნ.ყ-მ, რ.კ-თან შელაპარაკებისას, ამ უკანასკნელის ავტომანქანის წინა საქარე მინა ჩაამტვრია, რითაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ზიანის ოდენობის დასაზუსტებლად ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც ჩამსხვრეული მინის წარმომავლობა ვერ დაადგინა. იგი შეიცავდა მხოლოდ ვარაუდს, რომ ჩინური წარმოების მინის ღირებულება 140 ლარს, თურქულის კი – 170 ლარს შეადგენდა. აღნიშნულ საკითხს ვერც განმეორებით ჩატარებულმა ექსპერტიზამ მოჰფინა ნათელი.

სასამართლოში მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მერაბ წულაიამ დასკვნით სიტყვაში ყურადღება სწორედ ექსპერტიზის დასკვნის ბუნდოვანებაზე გაამახვილა. კანონმდებლობის თანახმად, მნიშვნელოვანი ზიანი 150 ლარის და მეტი ოდენობით განისაზღვრება, მაგრამ რაკი საქმეში ამის შესახებ უტყუარი ცნობები არ მოიპოვებოდა, დაცვის მხარემ ნ.ყ.-ს გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ნ.ყ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ია თოდუას დახმარებით
– ქურდობაში ბრალდებული გამართლდა

ია თოდუა

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ია თოდუას, ძალისხმევით, ლ.ა., რომელსაც ქურდობისათვის ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულს, რომელიც მეგობართან ერთად სკვერში სეირნობდა, ერთ-ერთ სკამზე ორი მობილური ტელეფონი დარჩა. ბრალდების მტკიცებით, ლ.ა. აღნიშნულ ტელეფონებს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა. ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებდა და გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რომ ტელეფონები შემთხვევით იპოვა.

საქმის სასამართლო განხილვის დროს, ბრალდების მხარემ მოწმეების სახით დაზარალებული და მისი მეგობარი დაკითხა. მათი თქმით, სკვერში მათთან ერთად მხოლოდ ბრალდებული იმყოფებოდა და მობილური ტელეფონების აღებაც მხოლოდ მას შეეძლო. სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი ბანკის ვიდეოჩანაწერში, რომელიც ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა, მართლაც ჩანს დაზარალებულისა და ბრალდებულის სკვერში შესვლისა და იქედან გამოსვლის ფაქტი.

ია თოდუამ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი მოთხოვნა დაასაბუთა იმ უტყუარი მტკიცებულებების არარსებობით, რომლებიც ლ.ა.-ს ბრალეულობას დაადასტურებდა. ბრალდების მოწმეები მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდნენ. ვიდეოჩანაწერი კი ქურდობის ფაქტს არ ასახავდა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ლ.ა.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ელისო რუხაძის ძალისხმევით
– ქურდობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ელისო რუხაძის, ძალისხმევით, ა.თ., რომელსაც ქურდობისათვის სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

საქმის მასალების მიხედვით, სოფელ ოფშკვითის მკვიდრი, 18 წლის ა.თ. რ.გ.-ის ცხენს, საკუთარი პროდუქტის ბაზარში ტრანსპორტირებისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დაეუფლა. მოგვიანებით, რ.გ.-მ ცხენი სახასიათო ნიშნებით ბაზარში ამოიცნო და, სამართალდამცველთა დახმარებით, მისი დაბრუნება შეძლო. ა.თ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ვინაიდან ფიზიკური ნაკლის გამო ის თავს დამოუკიდებლად ვერ დაიცავდა, მას, სავალდებულო წესით, საზოგადოებრივი ადვოკატი - ელისო რუხაძე დაენიშნა.

დაცვის ქვეშ მყოფთან გასაუბრების შემდეგ, ელისო რუხაძე ა.თ.-ს ბრალდების შემამსუბუქებელი მტკიცებულებების მოპოვებას შეუდგა. გარდა იმისა, რომ ბრალდებულს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრიც იყო და სრულწლოვანებას სულ ცოტა ხნის წინ მიაღწია. ამასთან, საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, ა.თ.-მ დაზარალებულთან მორიგება შეძლო. ამ გარემოებების საფუძველზე, დამცველის რეკომენდაციით, ბრალდებულმა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადებით მიმართა.

ბრალდების მხარემ აღნიშნული გარემოებები გაითვალისწინა და ა.თ.-სთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რომლის პირობითაც, ბრალდებულს ორი წლითა და ათი თვით დაენიშნა გამოსაცდელი ვადა და, ყოველგვარი ჯარიმის გარეშე, სასამართლოს სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომაში

2011 წლის 14 დეკემბერს, დასრულდა საქართველოს ისტორიაში მეორე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა. მასში პირველად მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა, კერძოდ, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა აკაკი გეწაძემ და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატმა მუხრან ღურწკაიამ.

საქმე ეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ნ.მ.-ს განზრახ მკვლელობას, რომელიც 2004 წელს ვ.ბ.-მ, რ.ს.-მ და ლ.კ.-მ დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ – ჯგუფურად, ე.წ. კანონიერი ქურდის შეკვეთით და წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ჩაიდინეს. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღო და სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

საზოგადოებრივი ადვოკატები ბრალდებულებს – ვ.ბ.-ს და რ.ს.-ს იცავდნენ. ორივე მათგანი დანაშაულს აღიარებდა.

მოცემულ საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 6 სასამართლო სხდომა, დაიკითხა ორი ბრალდებული და 23 მოწმე, ასევე მხარეთა მიერ გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. 14 დეკემბერს ადვოკატები აკაკი გეწაძე და მუხრან ღურწკაია დასკვნითი სიტყვებით წარსდგნენ. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულ პროცესზე საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მომზადების მაღალი პროფესიული დონე გამოავლინეს.

აკაკი გეწაძე, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი:

„ჩემთვის ეს იყო პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამიტომ დიდ პასუხისმგებლობას ვგძნობდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ სცნობდა, მე მაინც შევეცადე, ამეხსნა ნაფიცი მსაჯულებისთვის ის გარემოებები, რომლებმაც ბრალდებულს დანაშაულის ჩადენა აიძულეს.

შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, ასევე მოწმეთა დაკითხვისას, მე ყურადღება გავამახვილე იმ გარემოებაზე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებზე საკმაოდ მაღალი იყო. კანონიერი ქურდებოს დავალებების შეუსრულებლობა კი პატიმრებს მათთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას უქადდა. ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაული სწორედ ასეთი ზეწოლის პირობებში ჩაიდინა.

ვფიქრობ, მე და ჩემი კოლეგა, საზოგადოებრივი ადვოკატი, ნაფიცი მსაჯულების წინაშე ღირსეულად წარვდექით“.

აკაკი გეწაძე

3.

2011 წლის სტატისტიკა

2011 წელს იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები (სულ 8633)



წარმოებაში მიღებული საქმეების დინამიკა ბიუროებისა და წლების მიხედვით



2011 წლის სხვა სტატისტიკური მონაცემები

არასრულწლოვანთა დაცვა	505
ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები	591
მსჯავრდებულთა დაცვა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებზე	41
მოქალაქეთა დაცვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე	28
რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეები	612

მოთხოვნა საზოგადოებრივი ადვოკატის გამოყოფაზე



ფიზიკური პირებისთვის საზოგადოებრივი ადვოკატის გამოყოფა (სუდ 1659)



გაწეული კონსულტაციები



გაწეული კონსულტაციების თემატიკა



გაწეული კონსულტაციების დინამიკა წლების მიხედვით



კონსულტაციების მომხმარებლთა სქესი



კონსულტაციების მომხმარებლთა ასაკი



4.

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

იურიდიული დახმარება ეთნიკური უმცირესობებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომია

26 სექტემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ ინიტა პაულოვიჩამ წალკაში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გახსნეს. რეგიონის მოსახლეობამ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარებით სარგებლობა დაიწყო.

თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ოფისი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით ამოქმედდა. საკონსულტაციო ცენტრში დასაქმდა კონკურსის გზით შერჩეული იურისტი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სამართლის ნებისმიერ დარგში კონსულტაციებს უწევს და, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიულ დოკუმენტებსაც უდგენს.

წალკის მუნიციპალიტეტში 23 ათასი მოსახლე ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი ქართული ენის არმცოდნე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. აქამდე, იურიდიული დახმარების მისაღებად, რეგიონის მოსახლეობას ახალქალაქში ან რუსთავში ჩასვლა უწევდა, რაც, მკაცრი კლიმატური პირობებისა და ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, სერვისით სარგებლობას ართულებდა. იურიდიული დახმარების სამსახურის წალკის საკონსულტაციო ცენტრის ამოქმედებით ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზურნველყოფას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობს. გასულ წელს, UNDP-ის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო და ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა.

იურიდიული დახმარების სამსახური მოსახლეობას სისხლის სამართლის საქმეებზე – უფასო საადვოკატო მომსახურებას, სამართლის სხვა დარგებში კი იურიდიულ კონსულტაციებს უწევს. დღეისათვის სამსახურის კიდევ 14 ოფისი ფუნქციონირებს: თბილისში, მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ახალქალაქში, ახალციხეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ამბროლაურში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთსა და ბათუმში ფუნქციონირებს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამა 2009 წლიდან აქტიურადაა ჩართული იურიდიული დახმარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განვითარებაში. UNDP ასევე ხელს უწყობს სამსახურს იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

საზოგადოებრივი ადვოკატები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებშიც ერთვებიან

2011 წლის მარტიდან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ერთვებიან იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, რომლებსაც სანქციად დაპატიმრება მოჰყვება. ამას ითვალისწინებს ცვლილება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2011 წლის თებერვლის ბოლოს მიიღო.

ცვლილების თანახმად, „თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი იგი გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა“.

საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას ითვალისწინებს. დღეისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ახორციელებენ სოციალურად დაუცველი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების დაცვას. სისხლის სამართლის საქმეებში საზოგადოებრივი ადვოკატები ასევე სავალდებულო დაცვის შემთხვევების დროს ერთვებიან.

უფასო იურიდიული დახმარება ონლაინ რეჟიმშიც გახდა ხელმისაწვდომი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა ონლაინ კონსულტაციის სერვისი აამოქმედა. ახალი ტიპის მომსახურებას ხათუნა კალმახელიძე 11 ნოემბერს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროში პირადად გაეცნო.

იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებთან გასაუბრება ნებისმიერ მსურველს ყველასათვის ნაცნობი პროგრამის Skype-ის მეშვეობით შეუძლია. კვალიფიციური იურისტები სამართლებრივ რჩევებს ყოველ სამუშაო დღეს, 10-დან 19 საათამდე გასცემენ, მომსახურებით სარგებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს.

ინტერნეტ აუდიტორიისათვის იურიდიული დახმარების სამსახურთან დაკავშირება საკმაოდ მარტივია. LEGALAID.GE-ს სახელით სამსახურის ოფიციალური საიტი, facebook-ის გვერდი და Skype-ის ანგარიში მოქმედებს.

5.

იურიდიული დახმარების ხარისხი

არასრულწლოვნებთან მუშაობისათვის საზოგადოებრივი ადვოკატების გადამზადება დაიწყო

2011 წელს საქართველოში დაიწყო არასრულწლოვანთა საქმეებზე ადვოკატთა სპეციალიზაციის პროცესი, რაშიც იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ჩაერთვნენ. ივლისსა და სექტემბერში არასრულწლოვანთა დაცვის თემაზე ორგანიზებულ ტრენინგს დაესწრნენ ის ადვოკატები, რომლებიც სპეციალიზაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და იმერეთის-ქუთაისის ბიუროდან შეირჩნენ. მათთან ერთად სწავლება კერძო სექტორში მოღვაწე, მათ შორის, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატებმაც გაიარეს. ღონისძიებები ჩატარდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

ტრენინგებს უძღვებოდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, რომელთა შორის იურისტები და ფსიქოლოგები იყვნენ. განხილვის ძირითადი თემები იყო: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფესვები; განსხვავება სრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან; არასრულწლოვანის ქცევა და ინტერპრეტაცია; დამცველისა და არასრულწლოვნის ურთიერთობები: ინდივიდუალური ანალიზი და სოციალური გარემო, ურთიერთობის დამყარება და ნდობის მოპოვება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება. გარდა ამისა, ტრენინგის მონაწილეები დაესწრნენ ამ თემებზე მომზადებული ფილმის ჩვენებას, იმსჯელეს ცალკეულ საქმეებზე და შეასრულეს როლური თამაშები.

ადვოკატთა სპეციალიზაცია 2011 წლიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო და რამდენიმე ეტაპად წარიმართა. თავდაპირველად, ფსიქოლოგებთან კონსულტაციით, მომზადდა კითხვარი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ადვოკატთა პროფესიული ხედვის დადგენას ითვალისწინებდა. მომდევნო ეტაპზე, კითხვარის მეშვეობით, ჩატარდა ტესტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისსა და იმერეთში მოღვაწე საზოგადოებრივმა ადვოკატებმა, მათ შორის იმ კერძო იურისტებმაც, რომლებსაც იურიდიული დახმარების სამსახური, წინასწარ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, ბრალდებულებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეებში რთავს. ტესტირების შედეგად, სპეციალიზაციისათვის თითო რეგიონიდან ცხრაცხრა საზოგადოებრივი ადვოკატი შეირჩა.

არასრულწლოვანთა დაცვაში მორიგი სწავლება (TOT-ის ელემენტებით) სპეციალიზებულ ადვოკატებს ოქტომბრის თვეში, ევროკავშირის ორგანიზებით ჩაუტარდათ. ნოემბერში კი აღნიშნულ თემატიკაზე ტრენინგი

UNICEF-ის მხარდაჭერით მოეწყო. ტრენინგს სამართლისა და ფსიქოლოგიის ექსპერტები – ჩარლზ ბოლანდი, მაია ცირამუა და ნატალია ზაზაშვილი უძღვებოდნენ. სწავლების ფარგლებში ადვოკატები კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადვოკატის როლი და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, არასრულწლოვანთა დაცვის საეთაშორისო სტანდარტები, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების ფსიქოსოციალური დარღვევები, არასრულწლოვან კლიენტებსა და მათ მშობლებთან ურთიერთობა, დაზარალებული და მოწმე ბავშვების დაკითხვა და სხვა. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია გაგრძელდება და 2012 წელს ქვეყნის სხვა რეგიონებსაც მოიცავს.

საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებით ყოველწლიურად ასეულობით არასრულწლოვანი სარგებლობს. 2011 წელს მათმა რაოდენობამ 500-ს გადააჭარბა. დანაშაულის პრევენციის კუთხით გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საზოგადოების ამ სეგმენტში სამართლებრივ დახმარებაზე მოთხოვნა კვლავაც მაღალია, რამაც არასრუწულოვანთა საქმეებზე ადვოკატთა სპეციალიზაციის საჭიროებაც წარმოშვა. სპეციალიზაციის მნიშვნელოვანი შედეგი უნდა გახდეს სამართლებრივი დახმარების ხარისხის გაუმჯობესება საზოგადოებრივი ადვოკატების დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისთვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა კომპლექსურია და, ადვოკატთა გადამზადებასთან ერთად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. რეფორმა საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობით მიმდინარეობს და, მის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრო სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას ახორციელებს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო კი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის დანერგვაზე მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულმა ადვოკატებმა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის მაღალხარისხიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, ფსიქოლოგ სტუდენტებთან თანამშრომლობა დაიწყეს. ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ხელშეწყობით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, 14 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

ირაკლი კობიძემ სტუდენტებს საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკა და იურიდიული დახმარების სამსახურში არასრულწლოვანთა დაცვის პრაქტიკა გააცნო. გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილეებმა არასრულწლოვან ბრალდებულებთან სტუდენტებისა და საზოგადოებრივი ადვოკატების ერთობლივი მუშაობის დეტალები განიხილეს. ოქტომბრიდან-ვე, ილიას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ხუთი სტუდენტი თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში საქმიანობას შეუდგა.

ფსიქოლოგებისა და იურისტების თანამშრომლობა ორმხრივად სასარგებლოა. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან ურთიერთობით სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას იძენენ. ადვოკატებს კი, ფსიქოლოგების დახმარებით, საშუალება აქვთ, დროულად გადალახონ წინააღმდეგობები არასრულწლოვან დაცვის ქვეშ მყოფებთან კომუნიკაციის პროცესში და დაცვის სტრატეგია კლიენტთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეიმუშავონ.



გიორგი დონაძე
ილიას უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი:

„საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, ოქტომბრის თვიდან, არასრულწლოვან ბრალდებულებთან ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში მომიწია სამ მოზარდთან ურთიერთობა, რომლებიც ქურდობაში იყვნენ ბრალდებულნი. სამივე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან იყო.

ამ პროექტის ფარგლებში, ჩემი მოვალეობაა არასრულწლოვანი ბრალდებულის სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, რითაც ვეხმარები ადვოკატს, ბრალის შემომასუბუქებელი გარემოებები გამოავლინოს. როდესაც ბიუროში ახალი საქმე შემოდის, ადვოკატი, ვისთანაც მიმაგრებულები ვართ, გვაცნობს საქმის ზოგად შინაარსს და გვიყვება არასრულწლოვან დაცვის ქვეშ მყოფთან პირველი შეხვედრის შესახებ. ამის შემდეგ, ჩვენ ვესაუბრებით არასრულწლოვანს და მის გარემოცვას – მშობლებს, მასწავლებლებს, მეგობრებს და სხვებს, რათა მის შესახებ სრული სურათი დაიხატოს. ზოგჯერ, პირველ შეხვერაზე, მოზარდი არ იხსნება და უჭირს კონტაქტში შემოსვლა. მაგრამ შემდგომი შეხვედრებიდან ჩვენ ვახერხებთ იმის გარკვევას, თუ რა გარემოებებში ჩაიდინა დანაშაული და რამ უბიძგა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენ.

ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა პრობლემებზე მუშაობა უაღრესად საინტერესოა. თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში ვიძენ ახალ გამოცდილებას და პროფესიულად ვიზრდები“.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს

2009-10 წლებში ინტენსიური მომზადების გავლის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესთან – ზაზა მეიშვილთან ერთად 2011 წელსაც განაგრძეს. პირველი სამუშაო შეხვედრა თებერვალში ევროკავშირის ორგანიზებით, მეორე კი წლის ბოლოს, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შედგა.

პირველ შეხვედრაზე დისკუსიის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მტკიცებულებები და მტკიცების საგანი, შუამდგომლობები, საგამოძიებო მოქმედებები, ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, განაჩენის გასაჩივრება, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა. მეორე შეხვედრა კი დაეთმო საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურებს, ადვოკატის უფლებამოსილებას სასამართლოში საქმის განხილვის დროს, მხარეების მიერ მტკიცებულებების შეკრებასა და წარდგენას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, განაჩენის აღსრულებასა და სხვა საკითხებს.

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა. კოდექსი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე და მნიშვნელოვნად ზრდის ადვოკატის როლს როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. ადვოკატს შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები; გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს; ბრალდების მხარესთან თანაბარ რეჟიმში მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში და სხვა.

2011 წლის მარტში საქართველოში საპროცესო შეთანხმების პრაქტიკას მიეძღვნა ცალკე დისკუსია. დისკუსიას ამერიკელი მოსამართლე შერინ ფიშერი უძღვებოდა. შეხვედრის მონაწილეები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საპროცესო შეთანხმების პრაქტიკული და თეორიული საფუძვლები; მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატისა და ბრალდებულის როლებს შორის ბალანსი; სხვა დაინტერესებული მხარეები და მათი სავარაუდო ინტერესები.

ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგები

2011 წელს ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის არაერთი ტრენინგ-სემინარი ჩატარდა.

- თებერვალში, თბილისში, ევროკავშირის ორგანიზებით, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები დაესწრნენ ტრენინგს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებს მიეძღვნა. სწავლება მიზნად ისახავდა რეესტრის ადვოკატების ინფორმირებას კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

- 2011 წლის მარტში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ სწავლებას, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზის საკითხებს მიეძღვნა. ოთხი სემინარი ჩატარდა საზოგადოებრივი ადვოკატების ხელშეწყობის მიზნით, რათა მათ მომავალში გააუმჯობესონ სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა დაცვის ხარისხი. სემინარებს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი დავით გველესიანი უძღვებოდა. მან ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები; მოძრაობის სიჩქარე, მანძილი, მხედველობის არეალი; ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის დათვალიერების და შემთხვევის ადგილის ნახაზის, სქემის შედგენის მნიშვნელობა და თავისებურებანი; ავტოტექნიკური ექსპერტიზა; სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზა; ავტოსასაქონლო ექსპერტიზა. გარდა ამისა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ავტოსაგზაო შემთხვევის კაზუსიც განხილეს. აპრილში ანალოგიურ ტრენინგს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები დაესწრნენ.

- 2011 წლის მარტში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ევროკავშირის სამართლებრივ სისტემას გაეცნენ. შეხვედრას მოსამართლე იურგენს დუბერსი უძღვებოდა. სემინარზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა, ევროკავშირის დაწესებულებები და ინსტიტუტები, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, კანონმდებლობა, ხელისუფლების გაყოფის პრინციპი, ხმის მიცემა და კენჭისყრა, ადამიანის უფლებები ევროკავშირში, ევროკავშირის სასამართლო, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე, ევროკავშირში გაწევრიანების სტანდარტები და წინაპირობები და სხვა.

- მარტის ბოლოს საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ ტრენერთა ტრენინგის მესამე, ფინალურ ეტაპს. სწავლებას ფსიქოლოგები – ნანა ბერიკაშვილი და რუსუდან გოცირიძე უძღვებოდნენ. მათ ყურადღება გამახვილეს შემდეგ საკითხებზე: ჯგუფში მიმდინარე პროცესებისადმი სენსიტიურობის გაზრდა, სასწავლო გამოცდილებაზე რეფლექსირების უნარის განვითარება, გამოწვევების გამოყენება ჯგუფური წინსვლისთვის, ახალი სატრენინგო ინსტრუმენტების შემოქმედებითად გამოყენების უნარების გაზრდა. მონაწილეებმა პრაქტიკული სავარჯიშოები შეასრულეს და დისკუსიებიც გამართეს.

- მაისში, საზოგადოებრივი ადვოკატები სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხებზე ტრენინგს დაესწრნენ. სწავლებას სამართლებრივი ექსპერტები – ოთარ გამყრელიძე და დავით სულაქველიძე უძღვებოდნენ. მათ ისაუბრეს ისეთ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხებზე, როგორებიცაა: თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კანონიერი ქურდობა და ქურდული სამყაროს წევრობა, სამოხელეო დანაშაული, კომერციული მოსყიდვა და ზეგავლენით ვაჭრობა, ნარკოტიკული დანაშაული და სხვა.

- 2011 წელს სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისათვის ოთხი ტრენინგი ჩატარდა. სწავლებას უძღვებოდნენ ექსპერტები – ქეთევან კობახიძე და მარიამ ცისკაძე. მარტში ორგანიზებულ ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა სამოქალაქო სამართლის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საკუთრების დაცვის სანივთოსამართლებრივი საშუალებები, საზიარო უფლებებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტის თავისებურებები, ცალკეული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგების ძირითადი ასპექტები, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და სხვა.

  საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართლის ტრენინგზე კი განხილვის საგანი იყო ინფორმაციის თავისუფლება, გადასახადის გადამხდელის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, საშემოსავლო გადასახადის ზოგადი და სპეციალური რეჟიმები, საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

  ივლისში იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები გაეცნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა შვილება და მინდობით აღზრდა; მშობლის უფლების ჩამორთვევა და შეზღუდვა; არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; სამოქალაქო სამართალწარმოების სხვადასხვა საკითხები; მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები; დაზღვევის ხელშეკრულება, დაზღვევის ფორმები და სახეები; ვალდებულებების დარღვევა, მეორადი მოთხოვნის უფლებები და მათი ურთიერთმიმართება.

  ოქტომბერში კი კონსულტანტებმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალის სფეროებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებზე, შესაბამის სასამართლო პრაქტიკასა და საერთაშორისო სამართალში საკუთრების უფლების დაცვის გარანტიებზე იმსჯელეს.

- ნოემბერსა და დეკემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისათვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგები, რომლებიც მომხმარებელთან კომუნიკაციას მიეძღვნა. ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კომუნიკაციის სახეები, აქტიური მოსმენა, კითხვის დასმისა და დარწმუნების ტექნიკები, არავერბალური კომუნიკაცია, კომუნიკაციის ბარიერები, მომხმარებელთან ურთიერთობის ეტაპები, შეფერხების რეგულირება, კლიენტის უკმაყოფილების მართვა, ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაცია და სხვა.

იურიდიული დახმარების სამსახური მეოთხე წელია, რამდენიმე უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, იურიდიული კლინიკების პროექტს ახორციელებს. პროექტი საშუალებას აძლევს სამართლის მაგისტრატურის სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილება იურიდიული დახმარების ბიუროებში მუშაობით შეიძინონ.

თებერვლიდან თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პრაქტიკის გავლა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თხუთმეტმა მაგისტრანტმა დაიწყო. მათ, საქართველოს უნივერსიტეტსა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ოთხი სტუდენტიც შეუერთდა.

4 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ბაზაზე მოქმედი იურიდიული კლინიკის სტუდენტებმა იმიტირებული სასამართლო პროცესი გამართეს. ღონისძიება მოეწყო ოლიმპიადის ფარგლებში, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური ყოველწლიურად თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ბიუროების პრაქტიკანტებისთვის ატარებს.

სტუდენტებმა სასამართლოში თაღლითობის საქმე განიხილეს. მათ იურიდიული დახმარების სამსახურში შეძენილი უნარ-ჩვევები შესავალი სიტყვით გამოსვლის, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის, მტკიცებულებების გამოკვლევისა და დასკვნითი სიტყვის წარდგენის ეტაპებზე გამოავლინეს. პროცესი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით წარიმართა და მის დასასრულს, ოლიმპიადის ფინალური ეტაპისათვის, ხუთი სტუდენტი შეირჩა.

7 ივლისს, ბათუმში, იურიდიული დახმარების სამსახურის პრაქტიკანტებმა გამართეს იმიტირებული სასამართლო პროცესი, რითაც დაასრულეს პრაქტიკის ექვსთვიანი პროგრამა, რომელიც იურიდიული კლინიკების პროექტის ფარგლებში გაიარეს. ღონისძიება ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჩატარდა და მას პრაქტიკანტების ხელმძღვანელი ადვოკატები, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

იმიტირებულ პროცესზე, სამ ჯგუფად დაყოფილი სტუდენტები დაცვისა და ბრალდების მხარეებს, ასევე მოსამართლეებს წარმოადგენდნენ. მათ განიხილეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტს ეხებოდა. პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით წარიმართა. მსაჯულების როლი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის რიგითმა ბათუმელებმა შეასრულეს. ღონისძიების დასასრულს საუკეთესო შედეგის მქონე პრაქტიკანტები გამოვლინდნენ. 8 ივლისს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. იურიდიული დახმარების

სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ სტუდენტებს სერტიფიკატები და სამახსოვრო პრიზები გადასცა.

ოქტომბრიდან დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის ოცდახუთმა სტუდენტმა პრაქტიკის გავლა იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, ახალციხისა და გორის ბიუროებში დაიწყო. ექვსთვიანი პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტები ბიუროში მისულ მოქალაქეებს კონსულტაციებს გაუწევენ. გარდა ამისა, ისინი, საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, რეალურ კლიენტებს შეხვდებიან და, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს მოამზადებენ. სტუდენტებს სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების მონახულების საშუალებაც მიეცემათ. პროგრამის დასასრულს კი პრაქტიკანტები იმიტირებულ სასამართლო პროცესს მოაწყობენ, სადაც შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირებას მოახდენენ.

სტუდენტური პრაქტიკის პროექტი 2008 წლიდან „ღია საზოგადოება – სამართლის ინიციატივის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდებოდა და, აქამდე, მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით შემოიფარგლებოდა. 2011 წლიდან სტუდენტური პრაქტიკის დაფინანსება გაეროს განვითარების პროგრამამ ითავა, რის შედეგადაც პროექტში ზუგდიდის, ახალციხისა და გორის უნივერსიტეტებიც ჩაერთვნენ. ბოლო წლებში, რამდენიმე წარმატებული პრაქტიკანტი იურიდიული დახმარების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმდა. პროექტის გაფართოებით რეგიონებში მცხოვრებ სტუდენტებს პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობები მიეცემათ.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერშივე პრაქტიკანტთა ახალი ნაკადისათვის საორიენტაციო ტრენინგი ჩატარდა. სტუდენტები ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებს გაეცნენ. დეკემბერში კი მათ სწავლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებზე ჩაუტარდათ. ყველა ღონისძიება გაეროს განვითარების პროგრამამ დააფინანსა.

საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამა

2011 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამის განახლებული ვერსიის შემუშავება დაიწყო. ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწვეულ ექსპერტთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველომ პროგრამის ძირითადი ამოცანები და ფუნქციონალური მხარე განსაზღვრა.

გიორგი ბიგანიშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი:

„თეორიულ ცოდნას პრაქტიკით გამყარება სჭირდება. იურიდიული კლინიკის პროექტი სწორედ ამაში მეხმარება და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ უკვე ძალიან ბევრი ვისწავლე, ბევრი ახალი აღმოვაჩინე.

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში პრაქტიკის გავლა ოქტომბრიდან დავიწყე და თავიდანვე დიდი ინტერესით შევუდექი საქმიანობას. მოგეხსენებათ, სამოქალაქო სამართლის კუთხით ბევრი სიახლეა და შესაბამისად კონსულტანტიც საკმაოდ დატვირთულია. ჩემი საქმიანობა კონსულტაციების გაწევასა და სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას მოიცავს. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან საინტერესოა გასვლითი კონსულტაციებიც, რომლებსაც სხვადასხვა ადგილას ვატარებთ: ვხვდებით სხვადასხვა სოფლების მოსახლეობას, ვაწვდით ინფორმაციას იურიდიული დახმარების სერვისის შესახებ და სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებზე ადგილზე ვუწევთ კონსულტაციებს.

მე ვფიქრობ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურში პრაქტიკული გამოცდილების შეძენა ჩემს პროფესიულ განვითარებას კიდევ უფრო მეტად წაადგება“.

საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამა სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას მოემსახურება. კერძოდ, გაამარტივებს საშტატო და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების, ასევე კონსულტანტებისა და სპეციალისტების საქმიანობის ორგანიზებას; დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს; ხელს შეუწყობს ხარისხისა და დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას.

პროგრამა მოიცავს კალენდარს, რომელიც ადვოკატს საქმეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვადებისა და მოვლენების შესახებ შეახსენებს.

დავით ედიაშვილი
ახალციხის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი:

„იურიდიული კლინიკის პროექტი საკმაოდ კარგ და მრავალფეროვან გამოცდილებას მაძლევს. ვმუშაობ როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ისე სამოქალაქო სამართლის საკითხებზეც. საკმაოდ უშუალო ურთიერთობა გვაქვს ადვოკატებთან. ფაქტობრივად, უკვე დავმეგობრდით. ჩვენ მაქსიმალურად ვართ ჩართულები იურიდიული დახმარების გაწევის პროცესში. ვხვდებით კლიენტებს, გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებს, ვადგენთ დოკუმენტებს, რასაც ადვოკატის ზედამხედველობით ვახორციელებთ.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეები საკმაოდ ერთგვაროვანია, მაინც ვაწყდებით სხვადასხვა საინტერესო დეტალს. თუნდაც საპროცესო შეთანხმების დროს, ადვოკატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებების აღმოჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს ბრალის შემსუბუქებას. თუმცა, მე მაინც სამოქალაქო საქმეებზე მუშაობას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან იურისტის საქმიანობა ამ დარგში გაცილებით მრავალფეროვანია“.

გარდა ამისა, ადვოკატებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის შაბლონით სარგებლობის საშუალება მიეცემათ. პროგრამა მოსახერხებელი იქნება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისითაც. მისი მეშვეობით ბიუროსა და ადვოკატის მიერ გაწეული საქმიანობის დახარისხება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კრიტერიუმების, მათ შორის, დანაშაულის კატეგორიის, დასაცავ პირთა ასაკის, სოციალური მდგომარეობისა, საქმის სტადიის, საქმეების რაოდენობისა და შედეგების, აგრეთვე მომართვის წყაროს მიხედვით. პროგრამაში დაცული იქნება საქმესთან დაკავშირებით შექმნილი ყველა დოკუმენტი. იგი ავტომატურად აღრიცხავს თითეული ადვოკატის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დახარჯულ დროს.

განახლებულ კოპიუტერულ პროგრამაზე მუშაობა მომავალ წელს დასრულდება.

6.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- 30 მარტს, ჟინვალის მოსახლეობამ, ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით, უფასო იურიდიული კონსულტაცია მიიღო. ღონისძიება, რომელიც „იურიდიული დახმარების სამსახურისა“ და „ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. შეხვედრის ფარგლებში „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორმა ირაკლი კობიძემ მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებითა და სამართლებრივი კონსულტაციით სარგებლობის პირობები გააცნო. „ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ხელმძღვანელმა მარინა მესხმა კი ვრცლად ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთობების სპეციფიკა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი დახმარება და სხვა. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. დაინტერესებულ მოქალაქეებს კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით ადგილზე გაეწია კონსულტაცია.

- 27 მაისს, ქართული დიასპორის დღეს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს სახელმწიფოს ხარჯზე არსებული უფასო იურიდიული დახმარების სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები გააცნო. ირაკლი კობიძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა კეთდება უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომის ზრდის, მომსახურების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფისა და ამ თემაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით. ქართული დიასპორის დღე 2007 წლიდან 27 მაისს აღინიშნება. წელს ამ დღის აღსანიშნავად სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ასამდე ქართველი თბილისში შეიკრიბა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა სფეროში გატარებულ რეფორმებს და განვითარების პერსპექტივებს გაეცნო.

- 2011 წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, რეგიონებში შეხვედრები გამართა. მინისტრი ტირძნისის, დუშეთის, წყალტუბოს, ზესტაფონისა და სენაკის მოსახლეობას შეხვდა. ხათუნა კალმახელიძემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სფეროებში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა – ირაკლი კობიძემ კი მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებით და სამართლებრივი კონსულტაციით სარგებლობის პირობები გააცნო. მსგავსი შეხვედრები პერიოდულად იმართება და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

- სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების

საკითხთა სამინისტრომ და იურიდიული დახმარების სამსახურმა 16 დეკემბერს წილკნის დევნილთა დასახლებაში ჰუმანიტარული აქცია მოაწყვეს. მინისტრის მოადგილემ გიორგი არსოშვილმა და სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ საყოფაცხოვრებო ტექნიკა და პირველადი მოხმარების პროდუქტები იმ ოჯახებს გადასცეს, რომლებმაც 2011 წლის განმავლობაში უფასო იურიდიული დახმარებით ისარგებლეს.

- თბილისის ბიუროს იურისტები ნოემბერში აფხაზეთიდან დედაქალაქში, ართვინის ქ. №53-ში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლების შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდნენ და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე კონსულტაცია გაუწიეს.

- კახეთის ბიუროს იურისტებმა, აპრილში, თელავის მოსახლეობას უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობები გააცნეს. ივლისში კი ბიუროს ადვოკატები თელავის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს შეხვდნენ და სხვადასხვა სამართლებრივ თემებზე სემინარი ჩაუტარეს.

- მცხეთა-მთიანეთის ბიუროს იურისტების ორგანიზებით აპრილში გასვლითი კონსულტაციები შედგა მცხეთაში კომპაქტურად ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილებთან; მაისში – ქ. მცხეთის და მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისის მოსახლეობასთან; ივნისში კი – წეროვანის დევნილთა დასახლების მაცხოვრებლებთან. ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაცია ივლისში – მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში, აგვისტოში – დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში, სექტემბერში – მცხეთის რაიონის სოფლებში მისაქციელსა და ნატახტრში, ოქტომბერში – მცხეთის რაიონის სოფლებში ქსანსა და ძეგვში მოაწყვეს.

- ქვემო ქართლის ბიუროს იურისტები მარტში, რუსთავის №10 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. ბიურომ გასვლითი კონსულტაციები მოაწყო გარდაბნის რაიონის სოფლებში: ახალსამგორი, გამარჯვება, ჯანდარა, მატყოფი და ნორიო. აპრილში შეხვედრები შედგა მარნეულის რაიონის სოფლების თამარისისა და წერეთლის – მოსახლეობასთან; მაისში – თეთრიწყაროს რაიონის სოფლების: მანგლისის, ორბეთისა და წინწყაროს მოსახლეობასთან; ივნისში – დმანისის რაიონის სოფლების: დიდი დმანისისა და მაშავერას მოსახლეობასთან. გარდა ამისა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა აპრილში სემინარი გარდაბნის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის გამართეს.

  წალკაში საკონსულტაციო ცენტრის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ოქტომბერსა და ნოემბერში ქვემო ქართლის ბიუროსა და წალკის საკონსულტაციო ცენტრის იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები წალკის რაიონის რამდენიმე სოფელში, მათ შორის, განთიადში, დარაქოვში, საყდრიონში, აიაზმაში, ავრანლოსა და კიზილ-კილისაში, გუმბათსა და აშკალაში ჩაატარეს.

- შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატებმა 2011 წელს გასვლითი კონსულტაციები გორის და ხაშურის რაიონების იმ სოფლებში გამართეს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებს ესაზღვრება. საზოგადოებრივი ადვოკატები შეხვდნენ და სამართლებრივი კონსულტაციები გაუწიეს ტირძნისის, ტყვიავის, ნიქოზის, ძევერის, ვარიანის, მეჯვრისხევის, ატენის, შინდისის, მერეთის, ახალუბნის, სკრის, ქვახვრელის, ზეღდულეთისა და ოსიაურის მოსახლეობას.

ოქტომბერსა და ნოემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს იურისტებმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სემინარები გამართეს. მომავალი იურისტები იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, აქტუალურ საკანონმდებლო სიახლეებსა და სამოქალაქო სარჩელის შედგენის თავისებურებებს გაეცნენ.

ნოემბერში, შიდა ქართლის ბიუროს იურისტებმა, UN Women-ის პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობის და განვითარებისათვის“ წარმომადგენლებთან ერთად, გასვლითი კონსულტაცია გორის რაიონში, სოფელ ბერბუკის დევნილთა დასახლებაში მოაწყვეს. ღონისძიების ფარგლებში საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დევნილი მოსახლეობის პრობლემები მოისმინეს და მათი მოგვარების სამართლებრივ გზებზე იმსჯელეს. დამსწრეთ სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე გამოცემული პუბლიკაციები დაურიგდათ.

- სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატები მარტში შეხვდნენ ახალციხის რაიონის სოფლების: კლდე, ურაველის და მინდაძის მოსახლეობას. აპრილში საზოგადოებრივი ადვოკატები ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მაისში უფასო კონსულტაციები ასპინძის რაიონის სოფელ ზველის მოსახლეობამ მიიღო. ბიუროს იურისტები აქტიურად ჩართვნენ არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, რომელსაც სისხლის სამართლის რეფორმის მონაწილე ორგანოების ადგილობრივი სტრუქტურები ახორციელებენ. მაისში საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და პროკურორებმა მოსწავლეებისათვის რამდენიმე ერთობლივი სემინარი მოაწყვეს. ღონისძიებები გაიმართა ახალციხის კერძო სკოლაში „მზექა“, №1 და №2 საჯარო სკოლებში, ასევე ასპინძის რაიონის სოფელ ზველის საჯარო სკოლში. ივნისში კი გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ახალციხის №1 და №2 საჯარო სკოლების, ასევე კერძო სკოლა „მზექას“ მოსწავლეების მონაწილეობით.

  ნოემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს იურისტები, ახალციხის რაიონული პროკურატურის წარმომადგენილებსა და მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად, ახალციხის რაიონის სოფელ წყრუთის მოსახლეობას შეხვდნენ. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოქალაქეებს ადგილზე კონსულტაცია გაუწიეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებულ დავები და დანაშაულის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება.

- იმერეთის-ზესტაფონის ბიუროს იურისტები მარტში ჭიათურის საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდნენ. აპრილში, უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის თემაზე, მოაწყვეს სემინარები ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპნის საჯარო სკოლის, ასევე, სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. მაისსა და ივნისში ანალოგიური ღონისძიებები ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთას საჯარო სკოლის მოსაწვლეებისათვის გაიმართა.

- იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატებმა 2011 წელს შეხვედრები გამართეს ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების

თანამშრომლებთან, ვანის რაიონის სოფლების – ციხესულორის, დიხაშხოს, ზედა ვანის, შუამთისა და საპრასიის მკვიდრებთან, ასევე ქალაქ ბაღდათისა და მიმდებარე სოფლების – ვარციხის, როკითის, პირველი ობჩისა და დაბა საირმეს მოსახლეობასთან. შეხვედრის ფარგლებში საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოქალაქეებს უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობები გააცნეს და სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე კონსულტაციები გაუწიეს.

- აჭარის ბიუროს იურისტები მარტსა და აპრილში ბათუმის მოსახლეობას შეხვდნენ და სისხლის სამართლის სფეროში მიმდინარე რეფორმები, კერძოდ, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, ასევე – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანერგვის დეტალები გააცნეს. ოქტომბერში, ბიუროს ადვოკატებმა სემინარი ბათუმის №10 საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის გამართეს. საზოგადოებრივი ადვოკატები მოზარდებს სხვადასხვა დანაშაულისა და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ესაუბრნენ.

- სამეგრელოს-ფოთის ბიუროს თანამშრომლები მარტში ქ. მარტვილის და მარტვილის რაიონის სოფელ ბანძას მოსახლეობას შეხვდნენ. აპრილში კი საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოაწყვეს სემინარები ქ. ფოთის №2, №12 და №15 საჯარო სკოლების მოსაწვლეებისათვის.

- გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და იურიდიული დახმარების სამსახურმა ოქტომბრიდან დაიწყეს პროექტი, რომელიც სამეგრელოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს.

  სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის პროექტში, რომელიც მომავალი წლის აგვისტომდე გაგრძელდება, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულ ბიუროებთან ერთად, სახალხო დამცველის ადგილობრივი ოფისი და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ჩაერთვნენ. პროექტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ზუგდიდში, ხობში, სენაკში, წალენჯიხასა და ფოთში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებიან, უწევენ კონსულტაციას და აქტუალურ თემებზე შედგენილ პუბლიკაციებს ურიგებენ. პროექტს რეგიონული რადიო „ათინათი“ აშუქებს. ოქტომბრის თვეში გასვლითი კონსულტაციები წალენჯიხის რაიონის სოფლებში- ფახულანსა და ფოცხო ეწერში, ფოთის დევნილთა რაიონში, სენაკის რაიონის სოფელ ეკში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ეწერში, ნოებრის თვეში – ხობის რაონის სოფელ ნოჯიხევში, დეკემბერში – ხობის რაიონის სოფლებში – საგვიჩიოში, ქვემო ქვალონში და თორსაში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეში, ფოთის ნაბადის დასახლებაში, ასევე სენაკის რაიონის სოფელებში – ძველ სენაკი, თეკლათსა და ნოსირში.

ჟურნალისტები იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას გაეცნენ

- **მაისში** – სიღნაღში, **აგვისტოში** კი – ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც იურიდიული დახმარების სამსახურისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებების მიზანი იყო ჟურნალისტების ინფორმირება იმ რეფორმების შესახებ, რომლებიც, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით, იურიდიული დახმარების სისტემაში განხორციელდა. სამუშაო შეხვედრები გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ღონისძიებების ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ ვრცლად ისაუბრა საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკისა და სამსახურის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. გარდა ამისა, UNDP-ის ექსპერტებმა – ნანა მჭედლიძემ და თამარ ხორბალაძემ ჩაატარეს სემინარები დაცვის უფლების, გამოხატვის თავისუფლების, ასევე, მედია ეთიკისა და სამართლებრივი საკითხების გაშუქების შესახებ. გაიმართა დისკუსია იურიდიული დახმარების სამსახურსა და მედიას შორის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

მედია ჩვენ შესახებ

- **28 იანვარს**, „რუსთავი-2-ის“ „კურიერმა“ მოამზადა სიუჟეტი საქართველოს უნივერსიტეტისა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებს თბილისის ბიუროში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა მიეცათ.
- **4 თებერვალს**, მაესტროს „ახლმა ამბებმა“ და „რუსთავი-2-ის“ „კურიერმა“ გააშუქა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე გამართული დისკუსია, რომელშიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი და საზოგადოებრივი ადვოკატები მონაწილეობდნენ.
- **15 მარტს**, იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას სპეციალური სიუჟეტი პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „მოამბემ“ მიუძღვნა. ვრცელ სიუჟეტში საუბარი შეეხო საზოგადოებრივი ადვოკატების წარმატებულ საქმეებს და გადახდისუუნარო მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდას.
- **7 ივლისს**, ბათუმში, იურიდიული დახმარების სამსახურის სტაჟიორებმა გამართეს იმიტირებული სასამართლო პროცესი, რითაც დაასრულეს სტაჟირების ექვსთვიანი პროგრამა, რომელიც იურიდიული კლინიკების პროექტის ფარგლებში გაიარეს. აჭარის ტელევიზიამ ღონისძიებას ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა.
- **ივნისსა** და **აგვისტოში**, იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ სტატიები „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა.
- **30 აგვისტოს**, „საზოგადოებრივი რადიოს“ გადაცემამ „თქვენი უფლებები“ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, ირაკლი კობიძეს, უმასპინძლა. ირაკლი კობიძემ ვრცლად ისაუბრა იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობების შესახებ, ასევე, პასუხი გასცა გადაცემის მსვლელობისას შემოსულ სატელეფონო ზარებს.

- **9 სექტემბერს**, რუსთავი-2-ის „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, თამარ ობოლაძის, წარმატებული საქმისა და ასევე სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის პირობების შესახებ.
- **9 ოქტომბერს**, „რადიო მწვანე“ ტალღის გადაცემამ – „ევროპა საქართველოში”, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე და ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი თამარ ხულორდავა მიიწვია. საუბარი იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას და ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებულ აქტივობებს შეეხო.

- **14 ნოემბერს**, რეგიონ-ტვ-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი სერვისის ონლაინ კონსულტაციის შესახებ.
- **22 ნოემბერს**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ მონაწილეობა მიიღო ტელეიმედის დილის გადაცემაში. მან ვრცლად ისაუბრა უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობების შესახებ.
- **22 ნოემბერს**, პირველი არხის საინფორმაციო გადაცემაში გავიდა სიუჟეტი ევროკავშირის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციის შესახებ, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის 2011 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას მიეძღვნა.
- **29 ნოემბერს**, პირველი არხის „მოამბის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი სერვისის ონლაინ კონსულტაციის შესახებ.
- **21 დეკემბერს**, პირველი არხის გადაცემა „ევროკავშირი და საქართველო“ მიეძღვნა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ევროკავშირის მხარდაჭერით სისხლის სამართლის სისტემის რეფორმირებისათვის განხორციელდა. გადაცემაში გავიდა სიუჟეტი, რომელმაც, სხვა თემებთან ერთად, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობაც მოიცვა.
- **2011 წლის** განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა პირველი არხის გადაცემაში „ჩვენი სამართალი“, სადაც მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის დროს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

რეგიონულ ტელევიზიებში იურიდიული დახმარების შესახებ სარეკლამო კამპანია ჩატარდა

ნოემბრიდან ერთდროულად რამდენიმე რეგიონული ტელევიზიის ეთერში უფასო იურიდიული დახმარების შესახებ სოციალური რეკლამა დაიწყო. სატელევიზიო კლიპი, რომელიც გასულ წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა, მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას იმ უფასო მომსახურების შესახებ, რასაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მოსახლეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით უწევს.

სატელევიზიო კლიპი ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ადამიანს იურიდიული კონსულტაციით ან ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის საჭიროება უჩნდება. არაქართულენოვანი მოსახლეობა მას რუსული ტიტრებით იხილავს. კლიპი სრულდება იურიდიული დახმარების სამსახურის საკონტაქტო ინფორმაციით (ცხელი ხაზი: 292-00-55 / ვებგვერდი: www.legalaid.ge), რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს დეტალური ინფორმაციის მიიღების საშუალება ეძლევათ.

სარეკლამო კამპანია ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის, გორის, გურჯაანისა და თელავის ტელევიზიების ეთერში ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა. კამპანია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

მოსახლეობა იურიდიული დახმარების სამსახურს სულ უფრო ხშირად მიმართავს

სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამოქალაქო დავების დროს მოსახლეობის 47,9% სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართავს. გარდა ამისა, სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების წყალობით სასურველ შედეგს – 50%, ხოლო მეტნაკლებად სასურველ შედეგს 25% აღწევს. ეს დადგინდა სოციოლოგიური კვლევის შედეგად, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლის გაზაფხულზე ჩატარდა.

კვლევამ მოიცვა საქართველოს ქალაქები – ბათუმი, ქობულეთი, გორი, ხაშური, ახალქალაქი და მარნეული, სადაც 750 რესპონდენტი გამოიკითხა. კლევა მიზნად ისახავდა მოსახლეობაში მართლმსაჯულების ინსტიტუტების შესახებ ინფორმირებულობის დონისა და მათდამი ნდობის ხარისხის, ასევე მიღებული იურიდიული დახმარების წარმომავლობის დადგენას.

იურიდიული დახმარების სამსახურს ახალი საიტი და FACEBOOK-ის გვერდი აქვს

2011 წლის ივლისიდან იურიდიული დახმარების სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კიდევ ერთ საშუალებად იქცა სამსახურის ახალი საიტი www.legalaid.ge, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ძველისგან განსხვავებით ახალ საიტს რამდენიმე უპირატესობა აქვს: იგი სამენოვანია და მომხმარებელს საშუალება აქვს იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მიიღოს. საიტი აღჭურვილია საკონსულტაციო თემების კატალოგით, რომელიც პასუხობს



ყველა აქტუალურ შეკითხვას სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სამეწარმეო, შრომისა და სისხლის სამართალში. საიტზე ხელმისაწვდომია სტატისტიკური ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშები და სასარგებლო ბმულები, რომლებიც ინტერნეტ აუდიტორიის ფართო ინტერესებს პასუხობს. გარდა ამისა, საიტზე ინტეგრირებულია ონლაინ კონსულტაციის სერვისი, რომელიც მომხმარებელს Skype-ის მეშვეობით მიეწოდება.

2011 წლის სექტემბრიდან კი პოპულარული სოციალური ქსელის facebook-ის მომხმარებლებს საშუალება აქვთ სამართლებრივი დახმარების შესახებ ინფორმაცია facebook-ის მეშვეობითაც მიიღონ. იურიდიული დახმარების სამსახურმა facebook-ზე საკუთარი გვერდი გახსნა. მასზე მოსახვედრად მომხმარებელმა ინტერნეტ ბრაუზერში შემდეგი მიმართი უნდა აკრიფოს: facebook.com/legalaid.ge. აქ უკვე განთავსებულია სამსახურის სიახლეები, მნიშვნელოვანი ღონისძიებების ამსახველი ფოტოები, ასევე სამსახურის შესახებ მედიის მიერ მომზადებული მასალა. გარდა ამისა, მსურველებს საშუალება აქვთ facebook-ში, სამსახურის კედელზე კითხვები გამოაქვეყნონ და, უმოკლეს ვადაში, კვალიფიციური იურისტებისგან პასუხები მიიღონ.

7

საერთაშორისო ურთიერთობები

იორდანიის და ყაზახეთის დელეგაციების ვიზიტები საქართველოში

საქართველოში განხორციელებული იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის შესასწავლად წელს თბილისს იორდანიის სამეფოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის დელეგაციები სტუმრობდნენ. გაცნობითი ვიზიტები ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) ორგანიზებით განხორციელდა.

იორდანიის სამეფოს დელეგაციის ვიზიტი ივნისში შედგა. ყაზახეთის წარმოამდგენლები კი საქართველოში სექტემბერში იმყოფებოდნენ. იორდანიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიული დახმარების ცენტრის“, იორდანიის სამეფოს იუსტიციის, დაგეგმარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, სოციალური განვითარების სამინისტროების, ასევე მსოფლიო ბანკის იორდანიის ოფისის წარმომადგენლები. ყაზახეთიდან კი იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, ასევე, ადვოკატთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

ორივე დელეგაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ მიიღეს. შეხვედრების ფარგლებში ირაკლი კობიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევაზე, უფასო იურიდიული დახმარება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი და ქმედითი გახადონ. საუბარი ასევე შეეხო იურიდიული დახმარების სისტემის ადმინისტრირების ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის ჩართვის პროცედურა, სამართლებრივი დახმარების ხარისხის უზუნველყოფა, იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებ-

ლობისა და განჭვირვალობის მექანიზმები და ა.შ. გარდა ამისა, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ სახელმწიფოს ხარჯზე არსებულ სამართლებრივი დახმარების სისტემის მუშაობას ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში გაცნობოდნენ.

სასწავლო ტურის ფარგლებში იორდანიის სამეფოს წარმომადგენლები ასევე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF), ევროკავშირის და UNDP-ის კანონის უზენაესობის პროგრამების აქტივობებს გაეცნენ. ყაზახეთიდან ჩამოსული სტუმრები კი შეხვდნენ „საიას“ იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტებს, ასევე – იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც საბჭოში არასამთავრობო ორგანიზაციას, ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს პარლამენტს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ „ღია საზოგადოების ინსტიტუტი“ საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი იყო. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ კანონის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში, 2005 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის პირველი პილოტური ბიუროები ამოქმედდა. 2005-2008 წლებში კი ფონდის დახმარებით შესაძლებელი გახდა ახალშექმნილი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების გადამზადება, ასევე, სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარება. OSI-სთან თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. 2009 წლიდან საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობს „იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელში“, რომელიც „ღია საზოგადოების ინსტიტუტის” ინიციატივით შეიქმნა და რამდენიმე პოსტსოციალისტური ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებს აერთიანებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაციის ვიზიტი ლიტვაში

9 სექტემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაციამ ლიტვაში ვიზიტი დაასრულა. ოთხდღიანი სასწავლო ვიზიტი, რომელიც ქართველი იურისტებისთვის ლიტვის იურიდიული დახმარების სისტემის გაცნობას ითვალისწინებდა, ევროკავშირის ორგანიზებით განხორციელდა.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, სამსახურის მონიტორინგის საბჭოს წევრები შედიოდნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი შეხვდნენ ლიტვის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, ასევე ადვოკატთა ასოციაციისა და ადგილობრივი იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს. განსახილველ საკითხებს შორის იყო იურიდიული დახმარების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, სამართლებრივი დახმარების მენეჯმენტი, ხარისხის უზრუნველყოფა, დაფინანსება, ადვოკატთა პრაქტიკა და განგრძობადი იურიდიული განათლება.

ლიტვისა და საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემებს ბევრი რამ აერთიანებთ. ორივე ქვეყანაში ამ სფეროს რეფორმის სათავეებთან „ღია საზოგადოების ინსტიტუტი“ იდგა. რეფორმა იურიდიული დახმარების ახალი მოდელის პილოტირებით დაიწყო და, 2007 წელს, ამ სისტემების საბოლოო ინსტიტუციონალიზაციით დასრულდა. საქართველოში – იურიდიული დახმარების ცენტრალიზებული, ხოლო ლიტვაში დეცენტრალიზებული სამსახური ჩამოყალიბდა.

ორივე ქვეყანაში იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის საკითხებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახურს მონიტორინგს უწევს ხუთწევრიანი სამეთვალყურეო ორგანო, რომელიც, გასულ წელს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ჩამოაყალიბა. მონიტორინგის საბჭოში ამავე სამინისტროს, ასევე პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, ადვოკატთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შედიან.

სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები

16-18 ნოემბერს, ვენაში, გაეროს ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციამ (UNODC) უმასპინძლა ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფის სამუშაო შეხვედრას, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემას მიეძღვნა.

ღონისძიებას 40 ქვეყნის 100 ექსპერტი დაესწრო. სამუშაო შეხვედრაში, ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის რანგში, მონაწილეობა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ მიიღო. ექსპერტებმა იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: უფლება იურიდიულ დახმარებაზე, იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, იურიდიული დახმარება დაზარალებულებისა და მოწმეებისათვის, იურიდიული დახმარება არასრულწლოვნებისათვის, იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და კვალიფიკაციის უზრუნველყოფა და სხვა. ეს ის საკითხებია, რომლებსაც „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზუნველყოფის გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები“ შეიცავს.

შეხვედრის შედეგად შემუშავდა „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების“ საბოლოო პროექტი, რომელიც, 2012 წლის აპრილში, განსახილველად გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის იუსტიციის კომისიას გადაეცემა.

8.

სამსახურის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა

მონიტორინგის საბჭოს სხდომები

გასულ წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო ჩამოაყალიბა. 2011 წელს საბჭო რამდენჯერმე შეიკრიბა და სამართლებრივი დახმარების სფეროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე იმსჯელა. როგორც წესი, სხდომები სამინისტროში მიმდინარეობდა, თუმცა, წელს პირველად საბჭომ გასვლითი სხდომა იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულ ბიუროში გამართა.

გასვლითი სხდომა, 25 ნოემბერს, ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში შედგა. მას დაესწრო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი არსოშვილი, რომელიც, მონიტორინგის საბჭოს წევრებთან ერთად, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობას ადგილზე გაეცნო. ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა იოსებ ჯამასპიშვილმა სტატის-

ტიკური მონაცემები წარმოადგინა. 2011 წელს ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები 500-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვნენ, 600-ზე მეტმა მოქალაქემ კი უფასო იურიდიული კონსულტაციით ისარგებლა. კონსულტაციების დიდი ნაწილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს ეხებოდა. სხდომას დაესწრო ახალგახსნილი წალკის საკონსულტაციო ცენტრის იურისტი დავით გოგიჩაიშვილიც, რომელმაც თავისი პრაქტიკა მიმოიხილა.

მონიტორინგის საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა ღონისძიებები გატარდა რეგიონის მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ 2011 წელს ქვემო ქართლში მნიშვნელოვანი პროგრესი იყო. მრავალეთნიკურ წალკაში ახალი საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. გარდა ამისა, რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მუდმივად ტარდებოდა გასვლითი კონსულტაციები, რომლის ფარგლებშიც, მოსახლეობა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის პირობებს ეცნობოდა. 26 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ მონიტორინგის საბჭოს წლიური ანგარიში წარუდგინა. იმავე დღეს, საბჭოს წევრებმა მომდევნო წლის პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ხუთწევრიანი სამეთვალყურეო ორგანოა, რომელშიც ამავე სამინისტროს, ასევე საქართველოს პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლები შედიან. საბჭო იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების ძირითად მიმართულებებს ამტკიცებს, მათ შესრულებას აკონტროლებს და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

ზვიად დევდარიანი

„სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ დირექტორი, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს წევრი:

„2012 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ხელშეწყობით, ჩვენ ვიწყებთ ახალ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის რეფორმის მონიტორინგს იურიდიული დახმარების კომპონენტში.

ჩვენი გვინდოდა, ამ პროექტით გაგვეძლიერებინა იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს ჩართულობა სამსახურის საქმიანობის ანალიზში და ხელი შეგვეწო იმ კომპონენტების გაძლიერებაში, რაც მნიშვნელოვანია თავად სამსახურისთვის. აუცილებელია, რომ იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთმანეთის გამოცდილება გაიზიარონ. უფრო აქტიურად მოხდეს სამსახურის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი მედიის ჩართულობით.

გარდა ამისა, პროექტის მთავარი კომპონენტია სამსახურის საქმიანობის შეფასება, რაც ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ხორციელდება: ხდება როგორც კლიენტების, ასევე მოსახლეობის გამოკითხვა. რაც მთავარია, სხვადასხვა უწყებებისა და სექტორის წარმომადგენლებისგან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უკვე ექსპერტულად შეაფასებს, მათ შორის საკანონმდებლო გადმოსახედიდანაც, სამსახურის საქმიანობას. საბოლოოდ, ეს ანალიზი და რეკომენდაციები წაადგება სამსახურს, მისი ეფექტიანობის გაზრდას. პროექტი მოიცავს ყველა იმ ბიუროს და საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოშია განლაგებული. ექსპერტთა ანალიზის რეკომენდაციების წარდგენა წლის დასაწყისში მოხდება, შემდეგ კი ყურადღება დაეთმობა მედიაკამპანიას, ასევე, ბიუროებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას“.

წლის შემაჯამებელი კონფერენცია

22 ნოემბერს, თბილისში, სასტუმროში „ძველი თბილისი“, იურიდიული დახმარების სამსახურმა წლის შემაჯამებელი კონფერენცია გამართა. ღონისძიებას სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ. კონფერენცია ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიება გახსნეს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა სტეფან სტორკმა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილემ გიორგი არსოშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ. „ჩვენი სამინისტროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ ისარგებლოს მაღალკვალიფიციური უფასო იურიდი-

ული დახმარებით. ჩვენ ამ მიზნით კვლავ ვმუშაობთ, რათა საქართველოს ყველა რეგიონში სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ეს მომსახურება იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი“, – აღნიშნა გიორგი არსოშვილმა.

კონფერენციის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ 2011 წელს სამსახურის საქმიანობის შედეგები შეაჯამა და წარმატებული თანამშრომლები სიგელებით დააჯილდოვა. მისი განმარტებით, წალკაში ახალი ოფისის გახსნით, ასევე გარკვეული კატეგორიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვით, უფასო სამართლებრივი დახმარება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა. გაძლიერდა საზოგადოებრივი ადვოკატების უნარ-ჩვევები არასრულწლოვან ბრალდებულებთან მუშაობის კუთხით. წელს, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით 22 ათასზე მეტმა ადამინმა ისარგებლა. გასულ წელთან შედარებით, 23%-ით გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც იურიდიული დახმარების სამსახურს კონსულტაციისათვის მიმართეს. კვლევის მიხედვით, მომხმარებელთა 75% უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შემდეგ სასამართლოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში მიღწეული შედეგით საშუალოზე მეტად კმაყოფილია.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკაზე. ასეთი შედეგით წელს საზოგადოებრივმა ადვოკატებმა 17 სისხლის სამართლის საქმე დაასრულეს, რაც ქვეყნის მასშტაბით სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მესამედზე მეტია. იმავე დღე კონფერენციის მონაწილეებმა, სამუშაო ჯგუფების ფორმატში, ადვოკატთა ეთიკის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განგრძობადი იურიდიული განათლებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს საკითხებზე იმსჯელეს.

2011 წლის ფინანსური ანგარიში

დაფინანსება (სულ 2 853 011 ლარი)



გაწეული ხარჯები (სულ 2 853 011 ლარი)



იურიდიული დახმარების სამსახური

რუსთაველის გამზ. 30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: +995 (32) 92 00 55; 98 84 93; 93 20 90
ფაქსი: +995(32) 98 84 93
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

WWW.LEGALAID.GE